

**მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და წინადადებები
„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ კანონპროექტის შესახებ**

(გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2015 წლის სექტემბერში საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნებული ვერსიის თაობაზე)

დეკემბერი, 2015

2015 წლის სექტემბრის დასაწყისში, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) სისტემის მარეგულირებელი ახალი ნორმატიული აქტის პროექტის მომდევნო, გადამუშავებული ვერსია გამოაქვეყნა¹. განსახილველად გამოქვეყნებული საკანონმდებლო აქტების პაკეტი მოიცავდა შემდეგ აქტებს:

- გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროექტი;
- კანონპროექტი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“; და
- კანონპროექტი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროექტისა (და ზემოთ ჩამოთვლილი ე.წ. „თანმდევი“ კანონპროექტების) განსახილველად, ა.წ. 23-24 სექტემბერს სამინისტროში შედგა დისკუსია მრგვალი მაგიდის ფორმატში. შეხვედრის მონაწილეთა კითხვებს უპასუხეს საკანონმდებლო აქტის პროექტის შემუშავებაში ჩართულმა ეროვნულმა და საერთაშორისო კონსულტანტებმა და სამინისტროს თანამშრომლებმა. სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, ა.წ. 12 ოქტომბერს უნდა გამართულიყო კიდევ ერთი საჯარო განხილვა, სადაც ყველა დაინტერესებულ მხარეს შენიშვნებისა და კომენტარების წარდგენის შესაძლებლობა მიეცემოდა; მოგვიანებით, კანონპროექტის დაგეგმილი საჯარო განხილვა გაუქმდა და ამ დრომდე კანონპროექტის სხვა ვერსია საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა. 23-24 სექტემბერს გამართულ დისკუსიაზე სამინისტროს წარმომადგენლებმა დამატებით აღნიშნეს, რომ კანონპროექტი დეტალურად იქნება განხილული როგორც სამინისტროს სისტემაში შემავალ სტრუქტურულ დანაყოფებთან, ისე სხვა უწყებებთან და დაინტერესებულ მხარეებთან. სამინისტრო კანონპროექტის (საკანონმდებლო პაკეტის) საქართველოს პარლამენტში წარდგენას 2015 დეკემბერში გეგმავდა, თუმცა, როგორც ჩანს, ეს ვერ ესწრება და სავარაუდოდ, კანონპროექტის პარლამენტისთვის წარდგენას 2016 წლის საგაზაფხულო სესიაზე უნდა ველოდოთ.

ამგვარად, ქვემოთ წარმოდგენილია მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და წინადადებები „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ საზოგადოებისთვის ამ დრომდე ხელმისაწვდომი, ბოლო, 2015 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული ვერსიის თაობაზე. მათი ძირითადი ნაწილი უკვე წარდგენილ იქნა ზეპირსიტყვიერად 23-24 სექტემბერს სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე. წარდგენილი შენიშვნებისა და წინადადებების ნაწილზე, ავტორებისგან, მიღებულ იქნა გათვალისწინების შესახებ პრინციპული თანხმობა, ნაწილზე კი, ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება.

¹ ხელმისაწვდომია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე:
<http://www.webcitation.org/6buFP7f2r>

თავდაპირველად, წარმოდგენილია კანონპროექტთან დაკავშირებული ზოგადი, პრინციპული ხასიათის შენიშვნები და წინადადებები; მეორე ნაწილში კი, შენიშვნები და წინადადებები მუხლობრივადაა მოცემული (თუმცა, ეს, არავითარ შემთხვევაში, არ აკნინებს მათ მნიშვნელოვნებას, პირველ ნაწილში წარმოდგენილ შენიშვნებთან შედარებით).

I. ზოგადი, პრინციპული ხასიათის შენიშვნები და წინადადებები

1. გამონაკლისები

კანონპროექტი (თანმდევი ცვლილებები „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონში) ითვალისწინებს ამჟამად მოქმედი გზშ სისტემის ძალზე მნიშვნელოვანი ნაკლოვანების გამოსწორებას, რომელიც გამოკლისების დაშვებას ეხება. კერძოდ, მოქმედი სისტემისგან განსხვავებით, ახალი ნორმებით, დაგეგმილი საქმიანობისთვის/პროექტისთვის გზშ-ს ჩატარება (და შესაბამისად, გარემოსდაცვითი ნებართვის მოპოვება) სავალდებულო იქნება ყველასთვის, მიუხედავად იმისა, კერძო სამართლის პირი გეგმავს საქმიანობის განხორციელებას, თუ რომელიმე სამინისტრო ან მათ გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება.

ეს ცვლილება, უდავოდ, მისასალმებელია; ამასთან, ამჟამად მოქმედ კანონმდებლობაში რჩება კიდევ ერთი ნორმა, რომელიც გაუმართლებელი და დაუსაბუთებელი გამონაკლისების დაშვების შესაძლებლობას იძლევა. ესაა „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ კანონით (2006 წ.) გათვალისწინებული ნორმა, რომელიც შესაძლებელს ხდის, ე.წ. „წინასწარი ნებართვის“ საფუძველზე, ნებისმიერი ინვესტორის მიერ საქმიანობის დაწყებას, გზშ-ს ჩატარებისა და ნებართვის მოპოვების გარეშე, იმ პირობით, რომ ის მომავალში შეასრულებს კანონმდებლობის ამ მოთხოვნებს.

ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია, რომ „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ კანონით დადგენილი „წინასწარი“ ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის მექანიზმი კვლავ გავრცელდეს გზშ სისტემაზე; აღნიშნული კანონით გათვალისწინებული ეს მექანიზმი საერთოდ უკარგავს აზრს გზშ-ის ფუძემდებლურ პრინციპებს და ძირს უთხრის მთელ სისტემას. ამდენად, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ კანონში შევიდეს ცვლილება, რომელიც არ დაუშვებს გარემოსდაცვითი ნებართვის წინასწარ გაცემის შესაძლებლობას (ისევე, როგორც ეს ხდება სარგებლობის ლიცენზიისა და მშენებლობის ნებართვის შემთხვევაში). ამისათვის, აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის პირველ პუნქტს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი: „გარემოსდაცვითი ნებართვისა“.

2. სხვა ლიცენზიებთან და ნებართვებთან კავშირი

კანონპროექტში არ ჩანს კავშირი გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურებსა და საქმიანობის დასაწყებად აუცილებელი სხვა ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემის პროცედურებს შორის.

სასურველია, რომ კანონპროექტს დაემატოს ცალკე თავი, სადაც დეტალურად გაიწერება ეს ურთიერთკავშირები; მათ შორის, განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება:

- მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიებთან კავშირზე: მნიშვნელოვანია, რომ მიწაზე უფლების მოპოვება არ უსწრებდეს გარემოსდაცვითი ნებართვის მოპოვებას;

- **სარგებლობის ლიცენზიების²** გაცემის პროცედურებზე: მნიშვნელოვანია, რომ გზმ და გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურა წინ უსწრებდეს აუქციონზე სარგებლობის ლიცენზიების გაყიდვას. ამ საკითხთან დაკავშირებით, შესაძლებელია, გაზიარებულ იქნეს 23-24 სექტემბერს გამართულ დისკუსიაზე საერთაშორისო ექსპერტის მიერ შემოთავაზებული ვარიანტები (სხვა ქვეყნებში გამოყენებული პრაქტიკიდან):
 - აუქციონის ყველა პოტენციური მონაწილე ცალ-ცალკე ატარებს გზმ-ს და მოიპოვებს ნებართვას; ლიცენზიის გაცემისას კი, პრიორიტეტი ენიჭება იმ პრეტენდენტს, რომელიც [გარემოსდაცვითი თვალსაზრისით] უკეთესი ტექნოლოგიის გამოყენებას სთავაზობს სახელმწიფოს;
 - აუქციონის ყველა პოტენციური მონაწილე შეკავშირდება და ერთად ატარებენ გზმ-ს, შესაბამისად, გაცივმა ერთი ნებართვა. ეს მიდგომა, პირველი ვარიანტისგან განსხვავებით, იძლევა როგორც ინვესტორების, ისე სახელმწიფოს ხარჯების დაზოგვის შესაძლებლობას;
 - სარგებლობის ლიცენზიის გამცემი სახელმწიფო ორგანო თავად ატარებს გზმ-ს, მოიპოვებს გარემოსდაცვითი ორგანოსგან გარემოსდაცვით ნებართვას და ამის შემდეგ ატარებს აუქციონს ლიცენზიის გასაყიდად. ამ შემთხვევაში, გზმ-ს ჩატარებისა და ნებართვის მოპოვებისთვის გაწეული ხარჯები შეიძლება აისახოს აუქციონის საწყის ფასში.

ამ მიდგომის გამოყენების შემთხვევაში: 1. სახელმწიფოს მიერ კვლევისა და ნებართვის მიღებისთვის (და გაცემისთვის) გაწეულ ხარჯს, ნებისმიერ შემთხვევაში, აანაზღაურებს ლიცენზიის მყიდველი; 2. აუქციონზე გამოტანილი იქნება ობიექტი, რომლის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ამ რისკების მართვასთან დაკავშირებული ხარჯები და სარგებელი უკვე დადგენილია. სხვა სიტყვებით, ლიცენზიის მყიდველიც და სახელმწიფოც დაზღვეულია „მოულოდნელობებისგან“ - ისეთი ფაქტორების აღმოჩენისგან, რომელიც შეუძლებელს გახდის, შეზღუდავს ან რაიმე წინააღმდეგობას შეუქმნის ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას.

ჩვენი აზრით, ეს მიდგომა ოპტიმალური იქნებოდა საქართველოს შემთხვევაში, რომ არა ერთი გარემოება: სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანო (გარემოს ეროვნული სააგენტო) გარემოსდაცვითი ნებართვის გამცემი ორგანოს (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს) სისტემაში შემავალი ერთეულია, რაც ინტერესთა კონფლიქტის საფუძველს ქმნის. ასეთი პრობლემა არ დგას, მაგალითად, ნავთობის და გაზის ოპერაციების ლიცენზირების შემთხვევაში - ლიცენზიის გამცემი ორგანო, ნავთობის და გაზის სახელმწიფო სააგენტო, ენერგეტიკის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ-ია.

ამ საკითხს მივყავართ, ასევე, უფრო ფართო თემის განხილვის აუცილებლობამდე - *მიზანშეწონილია, თუ არა საერთოდ ის, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და კერძოდ, მისი სსიპ-ის (გარემოს ეროვნული სააგენტოს) ფუნქციაში შედის სარგებლობის ლიცენზიების გაცემა?*

სარგებლობის ლიცენზიებისა და გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურებს შორის კავშირთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება - „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონით, სარგებლობის ლიცენზიის მფლობელს შეუძლია დაეყოს სარგებლობის ლიცენზია ან/და მთლიანად ან ნაწილი გადასცეს სხვა პირს. ლიცენზიის დაყოფის შემთხვევაში, გაუგებარია, ვინ იქნება პასუხისმგებელი გზმ ანგარიშითა და გარემოსდაცვითი ნებართვის პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების

² სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია, მიწისქვეშა სივრცის გამოყენების ლიცენზია, ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზია (ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების სპეციალური ლიცენზია; ნავთობისა და გაზის მოპოვების სპეციალური ლიცენზია), ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზია (ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია; სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია), თევზჭერის ლიცენზია.

შესრულებაზე; როგორ შეიძლება გადანაწილდეს ვალდებულებები? ჩვენი აზრით, ამ საკითხთან დაკავშირებით, ასევე, საჭიროა თემის უფრო ფართო ჭრილში განხილვა და შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემა: *გამართლებულია, თუ არა სარგებლობის ნებართვის დაყოფა? როგორია ამ მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენების შედეგები? რა სარგებელი ან/და ზიანი მოიტანა ამ მექანიზმის არსებობამ?*

- **გარემოსდაცვით რეგლამენტებთან** კავშირზე. ამ კავშირის ნათლად წარმოჩენა მნიშვნელოვანია კანონპროექტის ორივე დანართში მოქცეულ საქმიანობებთან დაკავშირებით.
- **რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის ნებართვის** გაცემის პროცესთან კავშირზე.

3. სკრინინგი

უდავოდ, პროგრესულია ის, რომ კანონპროექტი ითვალისწინებს სკრინინგის ეტაპის ფორმალიზებას და კონკრეტული პროცედურების ჩამოყალიბებას (სკრინინგს მთლიანად ეთმობა მე-6 მუხლი). ამასთან, გზშ სისტემის ამ ეტაპთან დაკავშირებით, უმნიშვნელოვანესია შემდეგი ორი საკითხის გათვალისწინება:

(ა) კანონპროექტში საერთოდ არ არის განმარტებული, რის საფუძველზეა (რის მიხედვითაა) ორ დანართში გადანაწილებული საქმიანობები.

კანონპროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტიდან ნათელია, რომ კანონპროექტით რეგულირდება იმ საქმიანობებთან დაკავშირებული საკითხები, „რომელთა განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან ჯანმრთელობაზე“; მაგრამ არაა ნათელი, რა ნიშნითაა ეს საქმიანობები დაყოფილი ორ კატეგორიად - რატომ, რა მახასიათებლები განსაზღვრავს საქმიანობის პირველ ან მეორე დანართში მოქცევას?

ამგვარად, აუცილებლად დასაზუსტებელია, საქმიანობების დაყოფის კრიტერიუმები. მაგალითისთვის, იხ. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011/92/EU დირექტივის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი („...projects likely to have significant effects on the environment by virtue, inter alia, of their nature, size or location...“); ასევე, „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ 1996 წ. 15 ოქტომბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი („საქმიანობა იყოფა ოთხ კატეგორიად მასშტაბის, მნიშვნელობისა და გარემოზე ზემოქმედების ხარისხის მიხედვით“), მე-2 პუნქტი („პირველ კატეგორიას განეკუთვნება საქმიანობა, რომელმაც თავისი მასშტაბით, განლაგებითა და შინაარსით შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული უარყოფითი და შეუქცევადი ზემოქმედება გარემოზე, ბუნებრივ რესურსებზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე.“) და მე-3 პუნქტი („მეორე კატეგორიას განეკუთვნება საქმიანობა, რომელმაც თავისი მასშტაბით, განლაგებით და შინაარსით შეიძლება მოახდინოს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე და იმ რეგიონის გარემოზე, სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება.“).

(ბ) სხვა ეტაპებისგან განსხვავებით, კანონპროექტში არ არის გარკვევით ჩამოყალიბებული, ადმინისტრაციული წარმოების რომელი სახე (მარტივი თუ საჯარო) გამოიყენება სამინისტროს მიერ ე.წ. „სკრინინგის გადაწყვეტილების“ („სამინისტროს გადაწყვეტილება, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს) მიღებისას.

სკრინინგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია გზშ-ს სისტემაში. სწორედ ამ ეტაპზე განისაზღვრება გზშ-ს ჩატარების აუცილებლობის საკითხი და შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის ხარისხი. მსოფლიო პრაქტიკა (მათ შორის, საქართველოს გამოცდილებაც) ცხადყოფს, რომ ამ ეტაპზე რთული, მსხვილმასშტაბიანი პროექტების

განმახორციელებლები, ხშირად, ცდილობენ, თავიდან აიცილონ გზმ-ს ჩატარება (რაც, ასევე, ავტომატურად, ნიშნავს საზოგადოების ნაკლებ ყურადღებას პროექტისადმი) პროექტის მცირე, თითქოსდა უმნიშვნელო, გარემოზე ნაკლები ზეგავლენის მქონე კომპონენტებად დანაწევრების გზით (სამეცნიერო ლიტერატურაში ეს პრაქტიკა ცნობილია როგორც „salami slicing“). ამგვარად „დანაწევრებული“ პროექტის ცალკეული კომპონენტები, როგორც ცალკეული პროექტები, წარედგინება კომპეტენტურ ორგანოს სკრინინგის გადაწყვეტილებების მისაღებად. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევებში, ძალზე დიდია ალბათობა, რომ კომპეტენტური ორგანო შეცდომაში იყოს შეყვანილი (ან უარეს შემთხვევაში, კონკრეტული თანამდებობის პირები გარიგდნენ პროექტის განმახორციელებელთან) და მიღებული იქნეს არასწორი გადაწყვეტილება. ასეთი ვითარების თავიდან აცილების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა - სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობა, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის დროული უზრუნველყოფა და საზოგადოების მონაწილეობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ **სკრინინგის გადაწყვეტილება მიღებული იქნეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით**. სხვა სიტყვებით, სკრინინგის განცხადება საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს არა სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ (როგორც ეს მოცემულია კანონპროექტის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტში), არამედ სამინისტროში განცხადების წარდგენიდან მოკლე ვადაში (სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე). სკრინინგის განცხადება უნდა გამოქვეყნდეს და საზოგადოებას მიეცეს სათანადო ვადა შენიშვნებისა და მოსაზრებების წარსადგენად. აქვე, ქვემოთ, გთავაზობთ სკრინინგის ეტაპზე საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის სამ შესაძლო სქემას:

1. სკრინინგის განცხადების გამოქვეყნებიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, სამინისტრო ვალდებულია მიიღოს საზოგადოების წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები, ასევე, მოაწყოს საჯარო განხილვა გადაწყვეტილების მიღებამდე;
2. სკრინინგის განცხადების გამოქვეყნებიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გადაწყვეტილების მიღებამდე, სამინისტრო ვალდებულია მიიღოს საზოგადოების წერილობითი წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები; სამინისტრო არ აწყობს საჯარო განხილვას;
3. სკრინინგისა და სკოპინგის ეტაპების კომბინირებით (გაერთიანებით) შესაძლებელი გახდება სკოპინგის გადაწყვეტილების მიღების წესის გავრცელება სკრინინგის ეტაპზე; ამავდროულად, ყველა მხარე დაზოგავს რესურსებს.

(გ) ბიომრავალფეროვნების დაცვის და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მოთხოვნების გათვალისწინება საქმიანობათა დაგეგმვის ადრეულ - სკრინინგის ეტაპზე.

კანონპროექტის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტში დეტალურადაა ჩამოთვლილი სკრინინგის კრიტერიუმები - კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე უნდა გადაწყდეს, ჩაუტარდეს, თუ არა მე-2 დანართში მოქცეულ დაგეგმილ საქმიანობებს გზმ. მე-6 მუხლის მე-4 პუნქტში ჩამოთვლილი კრიტერიუმები თითქმის სრულად შეესაბამება ევროკავშირის გზმ დირექტივის (ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 2011/92/EU დირექტივის) მე-3 დანართის მოთხოვნებს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ გზმ-ს გამოყენების პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, ასევე, თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ, დირექტივაში (მათ შორის, დირექტივის მე-3 დანართში) 2014 წელს შეტანილი იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები (ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 2014/52/EU დირექტივით). ამ ცვლილებების განსახილველად წარმოდგენილ კანონპროექტში ასახვა, მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს არამარტო, ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან დაახლოებას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში გზმ ინსტრუმენტის გამოყენების თითქმის 20-წლიანი პრაქტიკით დადასტურებული ნაკლოვანებების გამოსწორებას და სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო

შეთანხმებებით აღებული ვალდებულებების, მათ შორის, განსაკუთრებით, ქვემოთ ჩამოთვლილი კონვენციების შესრულებას:

- „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენცია;
- „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიების შესახებ“ რამსარის კონვენცია;
- „ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ“ ბონის კონვენცია;
- „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ“ ბერნის კონვენცია;
- კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილის პირველ სვეტში მოცემულია კანონპროექტის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი, როგორც ის ამჟამად იკითხება კანონპროექტში; მეორე სვეტში კი, მოცემულია ჩვენს მიერ შემოთავაზებული რედაქცია (რომელიც შეესაბამება ევროკავშირის გზშ დირექტივას, ამჟამად მოქმედ ნორმას):

კანონპროექტის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი	იმევე პუნქტის შემოთავაზებული რედაქცია
<p>4. სამინისტრო სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:</p> <p>ა) საქმიანობის მახასიათებლები:</p> <p>ა.ა) საქმიანობის მასშტაბი;</p> <p>ა.ბ) კუმულაციური ზემოქმედება;</p> <p>ა.გ) ბუნებრივი რესურსების გამოყენება;</p> <p>ა.დ) ნარჩენების წარმოქმნა;</p> <p>ა.ე) გარემოს დაბინძურება;</p> <p>ა.ვ) გამოსაყენებელი ნივთიერებების ან ტექნოლოგიების შედეგად გამოწვეული ავარიების რისკი.</p> <p>ბ) საქმიანობის ადგილმდებარეობა:</p> <p>ბ.ა) მიწათსარგებლობის ფორმა;</p> <p>ბ.ბ) ბუნებრივი რესურსების განაწილება მისი ხარისხისა და აღდგენის უნარის გათვალისწინებით;</p> <p>ბ.გ) ბუნებრივი გარემოს შემდეგი კომპონენტების</p>	<p>4. სამინისტრო სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:</p> <p>ა) საქმიანობის მახასიათებლები:</p> <p>ა.ა) საქმიანობის მასშტაბი და დიზაინი;</p> <p>ა.ბ) უკვე არსებულ (მოქმედ) ან/და ნებადართულ საქმიანობებთან კუმულაცია;</p> <p>ა.გ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით, მიწის, ნიადაგის, წყლისა და ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;</p> <p>ა.დ) ნარჩენების წარმოქმნა;</p> <p>ა.ე) გარემოს დაბინძურება და შეწუხების ფაქტორები;</p> <p>ა.ვ) საქმიანობასთან დაკავშირებული, მათ შორის, მეცნიერული ცოდნის თანახმად, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული, მნიშვნელოვანი ავარიებისა ან/და კატასტროფების რისკი;</p> <p>ა.ზ) ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკები (მაგალითად, წყლის ან ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული რისკები).</p> <p>ბ) საქმიანობის ადგილმდებარეობა:</p> <p>ბ.ა) მიწათსარგებლობის არსებული და უკვე ნებადართული ფორმები;</p> <p>ბ.ბ) საპროექტო არეალში და მიწისქვეშ ბუნებრივი რესურსების (მათ შორის, ნიადაგის, მიწის, წყლის და ბიომრავალფეროვნების) ფარდობითი სიუხვე.</p>

<p>გამოყენების მასშტაბი:</p> <p>ბ.გ.ა) ჭარბტენიანი ტერიტორიები;</p> <p>ბ.გ.ბ) სანაპირო ზოლი;</p> <p>ბ.გ.გ) მთიანი და ტყით დაფარული ტერიტორიები;</p> <p>ბ.გ.დ) დაცული ტერიტორიები;</p> <p>ბ.გ.ე) ის ტერიტორიები, სადაც კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოს დაცვის ნორმები უკვე დარღვეულია;</p> <p>ბ.გ.ვ) მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიები;</p> <p>ბ.გ.ზ) ისტორიული, კულტურული და არქეოლოგიური მნიშვნელობის ლანდშაფტები;</p> <p>გ) საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:</p> <p>გ.ა) ზემოქმედებას დაქვემდებარებული ტერიტორიის გეოგრაფიული არეალი და მოსახლეობის რაოდენობა;</p> <p>გ.ბ) ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;</p> <p>გ.გ) ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა;</p> <p>გ.დ) ზემოქმედების ალბათობა;</p> <p>გ.ე) ზემოქმედების ხანგრძლივობა, სიხშირე და შეუქცევადობა.</p>	<p>ხელმისაწვდომობა, ხარისხი და აღდგენის უნარი;</p> <p>ბ.გ) ბუნებრივი გარემოს აბსორბციის უნარი, შემდეგ კომპონენტებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით:</p> <p>ბ.გ.ა) ჭარბტენიანი ტერიტორიები, ჭალები და მდინარეთა შესართავები;</p> <p>ბ.გ.ბ) სანაპირო ზოლი და ზღვის გარემო;</p> <p>ბ.გ.გ) მთიანი და ტყით დაფარული ტერიტორიები;</p> <p>ბ.გ.დ) დაცული ტერიტორიები;</p> <p>ბ.გ.ე) ის ტერიტორიები, სადაც კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოს დაცვის ნორმები უკვე დარღვეულია, ან ითვლება რომ ირღვევა;</p> <p>ბ.გ.ვ) მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიები;</p> <p>ბ.გ.ზ) ისტორიული, კულტურული და არქეოლოგიური მნიშვნელობის ლანდშაფტები;</p> <p>გ) საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:</p> <p>გ.ა) ზემოქმედების ხარისხი და სივრცითი გავრცელება (მაგალითად, გეოგრაფიული არეალი და მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც შესაძლოა მოექცეს ზემოქმედების ქვეშ);</p> <p>გ.ბ) ზემოქმედების ხასიათი;</p> <p>გ.გ) ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;</p> <p>გ.დ) ზემოქმედების ინტენსიურობა და კომპლექსურობა;</p> <p>გ.ე) ზემოქმედების ალბათობა;</p> <p>გ.ვ) ზემოქმედების გამოვლენის (დადგომის) დრო, ხანგრძლივობა, სიხშირე და შეუქცევადობა;</p> <p>გ.ზ) ზემოქმედების კუმულაცია სხვა არსებული ან/და ნებადართული საქმიანობების ზემოქმედებებთან;</p> <p>გ.თ) ზემოქმედების ეფექტურად შემცირების შესაძლებლობები.</p>
---	---

გარდა ზემოაღნიშნულისა, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ კანონპროექტში სკრინინგის ნაწილს, არსებულ მუხლს - პუნქტებად ან დამატებითი მუხლის სახით, დაემატოს შემდეგი დებულებები (მუხლის სახით დამატების შემთხვევაში, მუხლის პირობითი სათაური შეიძლება იყოს: **ბიომრავალფეროვნების დაცვის მოთხოვნები საქმიანობათა დაგეგმვისას (ან სკრინინგისას):**

„1. აკრძალულია ამ კანონით განსაზღვრული პირველი დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი კატეგორიის დაცულ ტერიტორიაზე.

2. ამ კანონით განსაზღვრული მეორე დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება დაშვებულია მხოლოდ იმ დაცულ ტერიტორიებზე, სადაც ამგვარი საქმიანობა არ ეწინააღმდეგება დაცული ტერიტორიების შესახებ კანონმდებლობას და მხოლოდ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებისა და დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის არსებობის შემთხვევაში.

3. გარდა ამ მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა, ამ კანონის მეორე დანართით გათვალისწინებული საქმიანობები ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებას, თუ სკრინინგის პროცედურის შედეგად დადგინდა, რომ:

ა) საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია დაცული ტერიტორიის სიახლოვეს;

ბ) საქმიანობამ შესაძლოა, პირდაპირი ზეგავლენა იქონიოს დაცულ ტერიტორიაზე;

გ) საქმიანობამ შესაძლოა, პირდაპირი ან/და არაპირდაპირი ზეგავლენა იქონიოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, საერთაშორისო კონვენციებითა და შეთანხმებებით დაცულ, ენდემურ, რელიქტურ და საფრთხის წინაშე მყოფ სხვა სახეობებზე, მათ რაოდენობასა და საბინადრო გარემოზე, გამრავლების არეალებზე, გადარჩენის სტაციებზე, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელ გზებზე, წყლის სასმელ ადგილებზე.“

კვლავ გავიმეორებთ, რომ ზემოთ მოყვანილი შენიშვნების გათვალისწინება და შესაბამსად, კანონპროექტში ასახვა ხელს შეუწყოს გზმ სისტემის გაუმჯობესებას, საერთაშორისო შეთანხმებებით აღებული ვალდებულებების შესრულებას და ბოლოს, საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის მაისში დამტკიცებული 2014-2020 წლების საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის (BSAP)³ მოთხოვნათა შესრულებას. BSAP-ის სრულფასოვანი შესრულება კი, თავის მხრივ, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი მოთხოვნაა.

4. პირველი და მე-2 დანართით გათვალისწინებული საქმიანობების ჩამონათვალი

კანონპროექტის მე-4 მუხლიდან ნათელია, რომ კანონპროექტის პირველ დანართში ჩამოთვლილი ყველა საქმიანობა ექვემდებარება გზმ-ს, მეორე დანართში მოქცეული საქმიანობები კი, გზმ-ს ექვემდებარებიან, იმ შემთხვევაში, თუ სკრინინგის პროცედურის ჩატარების შედეგად დადგინდა გზმ-ს ჩატარების აუცილებლობა.

ვფიქრობთ, საქმიანობათა ჩამონათვალის სიზუსტის მნიშვნელოვნებას განმარტება არ სჭირდება; კანონპროექტის დანართებში მოცემული საქმიანობები კი, მოითხოვს მნიშვნელოვან დახვეწას, როგორც შინაარსობრივად და სტილისტურად, ისე წარმადობის ზღვრების დადგენის თვალსაზრისით. მართალია, დანართებში მოცემული სიები დიდწილად ეფუძნება ევროკავშირის შესაბამის დირექტივას, აუცილებელია, რომ ჩამონათვალები ადგილობრივ კონტექსტს შეესაბამებოდნენ. ამისათვის, აუცილებელია, რომ კანონპროექტის ავტორებმა გაიარონ დეტალური კონსულტაციები გზმ-ს სისტემაში ჩართულ მხარეებთან, განსაკუთრებით, პრაქტიკოსებთან; ვფიქრობთ, შესაბამის სამთავრობო, არასამთავრობო, სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებსა და სპეციალიზებულ საკონსულტაციო კომპანიებთან ერთად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაკონტროლებელ (მათ შორის, მშენებლობის და ტექნიკური უსაფრთხოების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის

³ იხ. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისის #343 დადგენილება „2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ“; პუნქტები 8.2, 9.1.5, 11.1. 3. და სხვ. ეროვნული მიზანი A.3. და მისი ამოცანები. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2342057>

აღსრულების კონტროლზე პასუხისმგებელ) ორგანოებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან (ან მათ გაერთიანებებთან) კონსულტაციების ჩატარება.

ვფიქრობთ, საქმიანობათა ჩამონათვალის ტერმინოლოგიური თვალსაზრისით დახვეწაში, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი „სეკ 001-2004 ეკონომიკური საქმიანობის სახეები“⁴. საქმიანობათა კლასიფიკატორის გამოყენება გაუადვილებს სკრინინგის პროცესს როგორც უწყებებს, ისე ნებართვის მაძიებლებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს.

რაც შეეხება პირველი დანართის ჩამონათვალს, ყურადღებას გავამახვილებით რამოდენიმე საქმიანობაზე:

- საერთაშორისო პრაქტიკამ ცხადყო და ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებიც (როგორცაა, მსოფლიო ბანკი, დიდი კაშხლების საერთაშორისო კომისია (International commission on large Dams, ICOLD), კაშხლების მსოფლიო კომისია (World Commission on Dams) და ენერჯეტიკის საერთაშორისო სააგენტო (International energy Agency) უკვე შეთანხმდნენ, რომ ჰიდროელექტროსადგურების შემთხვევაში, **გზშ-ს უნდა დაექვემდებაროს**: საქმიანობა, რომელიც მოიცავს ელექტროენერჯის გამომუშავებას ერთი ან მეტი ტურბინისათვის წყლის გრავიტაციული მიწოდებით, რომელთა დადგმული სიმძლავრე აღემატება 50 მეგავატს ან/და მოითხოვს საძირკვლიდან 15 მეტრზე მაღალი კაშხლის მშენებლობას; ან 5-დან 15 მეტრამდე სიმაღლის კაშხალი 3 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი მოცულობის რეზერვუარით⁵. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პირველი დანართის 21-ე პუნქტში მოცემული საქმიანობა ცვლილებას საჭიროებს.
- ვფიქრობთ, რომ მე-2 დანართის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მოცემული საქმიანობა უნდა მოექცეს პირველ დანართში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „წყლის მართვის სასოფლო-სამეურნეო პროექტები, მათ შორის, ირიგაციისა და დრენაჟის პროექტები“.
- ვფიქრობთ, რომ პირველ დანართს უნდა დაემატოს და შესაბამისად, გზშ-ს უნდა დაექვემდებაროს „დაცული ტერიტორიის შექმნა“.
- ჩვენი აზრით, პირველი დანართის ჩამონათვალს უნდა დაემატოს შემდეგი საქმიანობა: „თევზისა და ცხოველური ძვლებისგან ფქვილის წარმოება“. საქმე იმაშია, ამ ტიპის საქმიანობას მისდევნ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში და მას (გარემოსთან ერთად) მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს საწარმოთა მიმდებარედ მცხოვრებ მოქალაქეებზე (პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ქალაქ ფოთში). მოქალაქეები განსაკუთრებით წუხდებიან საწარმოების მუშაობით გამოწვეული სუნით. თევზის გადამამუშავებელი საწარმოების მუშაობით გამოწვეული სუნის შემცირება და ზეგავლენის შერბილება შესაძლებელია როგორც სუნის გავრცელების წყაროების რეგულირებით (ტექნოლოგიის, მართვის ელემენტების ცვლილებით), ისე, უპირველეს ყოვლისა, საწარმოთათვის სწორი ადგილმდებარეობის შერჩევით. საწარმოთა შესაძლო

⁴ „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი „სეკ 001-2004 ეკონომიკური საქმიანობის სახეები“ დამტკიცებულ იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 22 დეკემბრის #1-1/282 ბრძანებით. ეს ბრძანება 2015 წლის ივნისში ძალადაკარგულად გამოცხადდა, თუმცა, მალევე, იმავე წლის ივლისში, საგადასახადო კოდექსის მიზნებისთვის, „სეკ 001-2004 ეკონომიკური საქმიანობის სახეები“ კვლავ ძალაში იქნა აღდგენილი. ყურადსაღებია, რომ კანონპროექტის 23-24 სექტემბერს გამართულ განხილვაზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მუშავდება „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ ახალი, განახლებული კლასიფიკატორი, რომელიც ჩაანაცვლებს 2004 წელს მიღებულ კლასიფიკატორს (2004 წლის კლასიფიკატორმა, თავის მხრივ, ჩაანაცვლა 1997 წელს მიღებული კლასიფიკატორი).

⁵ EIA is required for: projects that involve the production of electricity form the gravitational flow of water into one or more turbines, with a total capacity of over 50 Megawatt and / or requiring the construction of a new dam of over 15 meters in height (in relation to the foundation), or a dam of between 5 and 15 metres in height with a reservoir of over 3 million m3.

ადგილმდებარეობებზე მსჯელობის საშუალებას კი, მხოლოდ ერთი ინსტრუმენტი - გზშ იძლევა. ამდენად, ვფიქრობთ, აუცილებელია, რომ ეს საქმიანობა დაექვემდებაროს გზშ-ს.

5. მეორე დანართით გათვალისწინებული საქმიანობების რეგულირება

კანონპროექტში საერთოდ არ ჩანს, როგორ ხდება მეორე დანართში მოქცეული საქმიანობების რეგულირება იმ შემთხვევაში, თუ სკრინინგის საფუძველზე დადგინდა, რომ საქმიანობა არ საჭიროებს გზშ-ს ჩატარებას. სავარაუდოდ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთ შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელი არ იქნება ვალდებული, ჩაატაროს რაიმე გარემოსდაცვითი კვლევა და მოიპოვოს თანხმობა სახელმწიფოსგან (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსგან) საქმიანობის განსახორციელებლად. საქმიანობის განმახორციელებელი უბრალოდ ვალდებული იქნება დაიცვას გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი გაფრქვევების სტანდარტიზებული ნორმები⁶ და საქართველოს კანონმდებლობის სხვა ზოგადი მოთხოვნები.

თავდაპირველად, უნდა აღინიშნოს, რომ გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე საქმიანობების რეგულირებისთვის სტანდარტიზებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი, უნდა გახდეს ფართო მსჯელობის საგანი. ეს ინსტრუმენტი შემოღებულ იქნა 2008 წელს და მისი გამოყენების შვიდწლიანი გამოცდილება საკმარისია იმისათვის, რომ შევასდეს დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ჩვენი აზრით, გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების შემოღება საქართველოში არ იყო გამართლებული, ვინაიდან გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დამტკიცებული ჰაერსა და წყალში მავნე ნივთიერებების გაფრქვევების და ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყლის ამოღების ნორმები გამოიყენება უნიფიცირებულად, გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე ნებისმიერი საწარმოს/საქმიანობის მიმართ (ამჟამად მოქმედი კანონმდებლობითაც - იმ საქმიანობების მიმართ, რომელიც არ ექვემდებარება გზშ-ს), მიუხედავად წარმოებული პროდუქციისა, ადგილმდებარეობისა და გამოყენებული ტექნოლოგიებისა, ყოველგვარი წინასწარი [გარემოსდაცვითი] შესწავლისა და სახელმწიფოსგან (სამინისტროსგან) თანხმობის მიღების გარეშე.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ განსახილველად წარმოდგენილი კანონპროექტის მეორე დანართში მოქცეული საქმიანობების რეგულირება (იმ საქმიანობების რეგულირება, რომლებიც სკრინინგის შედეგად არ ექვემდებარება გზშ-ს) გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით, არარელევანტური და მიუღებელია (ზემოთ აღწერილი მიზეზების გარდა, კანონდასრულების კონტროლის მეტად სუსტი, პრაქტიკულად, არარსებული მექანიზმის გამო). ამ საქმიანობებს, შესაძლოა, არ ჰქონდეთ ისეთივე ძლიერი ზეგავლენა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, როგორც პირველ დანართში მოქცეულ საქმიანობებს, **თუმცა, ზეგავლენის ხასიათისა და მასშტაბის გამო, მაინც საჭიროებენ ინდივიდუალურ და არა უნიფიცირებულ მიდგომას.**

ჩვენი აზრით, მეორე დანართში მოქცეული საქმიანობის შემთხვევაში, თუ სკრინინგის ეტაპზე დადგინდა, რომ საქმიანობა არ საჭიროებს გზშ-ს, საქმიანობის განმახორციელებელი მაინც უნდა იყოს ვალდებული, ჩაატაროს გარემოზე ზეგავლენის კვლევა (თუმცა, არა ისეთი მასშტაბური და დეტალური, როგორც გზშ) და შეადგინოს დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზეგავლენის შემარბილებელი და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა; გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ კი, უნდა განიხილოს ეს დოკუმენტები და მიიღოს გადაწყვეტილება საქმიანობის შესახებ (გაცეს ან არ გაცეს გარემოსდაცვითი ნებართვა). რა თქმა უნდა, გადაწყვეტილების მიღების

⁶ გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დამტკიცებულია ჰაერში და წყალში მავნე ნივთიერებების გაფრქვევებისა და ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყლის ამოღების ნორმები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვარი #17 დადგენილება „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“).

პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე და მონაწილეობითი; თუმცა, ამ შემთხვევაში, საზოგადოების მონაწილეობის ვადები და ფორმები, შესაძლოა იყოს უფრო შეზღუდული, ვიდრე ეს პირველ დანართში მოქცეული საქმიანობების შემთხვევაშია გათვალისწინებული (მაგალითად, შესაძლოა დაშვებული იყოს მხოლოდ წერილობითი კომენტარების მიღება და საჯარო განხილვა არ ჩატარდეს).

6. „მიმდინარე საქმიანობის“ ცნება და ასეთი საქმიანობის რეგულირების მექანიზმი

6.1 კანონპროექტის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, 47-ე მუხლი, მთლიანად ეთმობა ე.წ. „მიმდინარე საქმიანობის“ რეგულირების საკითხებს. ყურადსაღებია, რომ კანონპროექტში არაა განმარტებული, რას ნიშნავს „მიმდინარე საქმიანობა“ და ვფიქრობთ, ის გამიზნულადაა გამოტოვებული, ვინაიდან კანონპროექტის მთელი ეს ნაწილი, ფაქტიურად, უკანონო საქმიანობების/პროექტების ლეგალიზებას ეხება და ამის მექანიზმს ვეთავაზობს (ასეთ გაუმართლებელ მექანიზმს უკვე მოიცავს ამჟამად მოქმედი გზმ კანონმდებლობა 2015 წლის 1 ივნისიდან⁷). ჩვენ მოვითხოვთ, რომ ეს მუხლი მთლიანად ამოღებულ იქნეს კანონპროექტიდან. ქვემოთ მოყვანილია ამ მოთხოვნის დამასაბუთებელი არგუმენტები.

თავდაპირველად განვიხილოთ, რას ნიშნავს „მიმდინარე საქმიანობა“? კანონპროექტის მე-3 მუხლში („ტერმინთა განმარტება“) ეს ტერმინი არაა განმარტებული, თუმცა, განმარტებულია „მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება“. კერძოდ, „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება“ არის „*მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანება, რომელიც მიმდინარე საქმიანობის განმახორციელებელს ანიჭებს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების უფლებას*“.

კანონპროექტის 47-ე მუხლის პირველი პუნქტი იძლევა შესაძლებლობას, დადგინდეს, რა განიხილება „მიმდინარე საქმიანობად“. კერძოდ, ამ პუნქტის თანახმად, „მიმდინარე საქმიანობა“ ისეთი საქმიანობაა, რომელიც ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, მართალია ექვემდებარება გზმ-ს და საჭიროებს ნებართვას⁸, მაგრამ მისი განხორციელება მაინც დაიწყო, გზმ-ს ჩატარებისა და შესაბამისი ნებართვის მოპოვების გარეშე, 2015 წლის 1 ივნისამდე. ყურადსაღებია, რომ ამავდროულად, ასეთი საქმიანობა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უკანონოდ ითვლება და ასეთი დარღვევას მოჰყვება ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა⁹. კანონპროექტით, აქვე დაწესებულია გამონაკლისი: „მიმდინარე საქმიანობად“ არ განიხილება მოქმედი, ექსპლუატაციაში მყოფი უნებართვო ნაგავსაყრელები¹⁰.

⁷ საქართველოს 2015 წლის 29 აპრილის კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2820712>

⁸ ზუსტი ციტირება კანონპროექტიდან (მუხლი 47. მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი): „*გარემოზე ზემოქმედების ნებართვის*“ შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული, ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობები (გარდა „ნარჩენების მართვის კოდექსით“ განსაზღვრული არსებული ნაგავსაყრელებისა), რომელთა განხორციელებაც დაწყებულია 2015 წლის 1 ივნისამდე და არ გააჩნიათ გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, საჭიროებენ მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ სამინისტროს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას ამ მუხლით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.“

⁹ საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე, ისევეა ჯარიმით შვიდი ათასიდან ათი ათას ლარამდე (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 79¹ მუხლი; საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, ისევეა ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე (საქართველოს სისხლის სამართალი კოდექსი, მუხლი 306).

¹⁰ ფუნქციონირებად ნაგავსაყრელებზე გამონაკლისი დაშვებულია ამჟამად მოქმედი კანონმდებლობითაც. ნებართვის არმქონე ნაგავსაყრელებისთვის ფუნქციონირების უფლების მინიჭების საკითხი რეგულირდება საქართველოს 2014 წ. 26 დეკემბრის ნარჩენების მართვის კოდექსით (მუხლი 23. არსებული ნაგავსაყრელი); უფრო ადრე, ნარჩენების მართვის კოდექსის მიღებამდე, მოქმედ უნებართვო ნაგავსაყრელებზე ვრცელდებოდა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონით დადგენილი დროებითი ნორმა (22-ე მუხლის 2¹ პუნქტი). ამ ნორმის თანახმად, ფუნქციონირებად ნაგავსაყრელებს უნდა მოეპოვებინათ

საინტერესოა, რა შეიძლება ჩაითვალოს პრაქტიკაში, „მიმდინარე საქმიანობად“ და უკანონოდ მოქმედი რომელი საწარმოების მიმართ შეიძლება იქნეს გამოყენებული ეს ნორმები. ჩვენი აზრით:

- ეს ნორმები უეჭველად იქნება გამოყენებული საბჭოთა პერიოდიდან მომუშავე მსხვილი დამაბინძურებელი საწარმოების მიმართ, რომელთაც 25-ზე წელზე მეტი დრო ჰქონდათ იმისათვის, რომ შესაბამისობაში მოეყვანათ თავისი საქმიანობა თანამედროვე (ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან დღემდე მიღებულ) ნორმებთან. ეს საწარმოები, ბოლო 25 წლის მანძილზე, მუდმივად იყვნენ ამოფარებული კანონმდებლობასთან მათი საქმიანობის შესაბამისობაში მოყვანისთვის დადგენილ ვადებს (რომელიც მუდმივად გადავადდებოდა) ანდა იხდიდნენ ჯარიმებს და კვლავ აგრძელებდნენ ფუნქციონირებას. შემოთავაზებული კანონპროექტით გათვალისწინებული „უკანონობის ლეგალიზების“ ეს მექანიზმი (რომელსაც ამჟამად მოქმედი კანონმდებლობაც ითვალისწინებს უკვე ექვსი თვეა) ასეთ საწარმოებს კვლავ აძლევს საშუალებას, უსასრულოდ გააგრძელონ საქმიანობა ისე, რომ კვლავ მიაყენონ გამოუსწორებელი ზიანი გარემოსა და მათი საქმიანობის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ ადგილობრივ მოსახლეობას.
- არავისთვისაა სიახლე, რომ საქართველოში, ხშირად, ე.წ. „ინვესტორები“, მაღალი თანამდებობის პირთა მხარდაჭერითა და წახალისებით, თითქოსდა ქვეყნისთვის მაღალი ეკონომიკური სარგებლის მქონე პროექტების განხორციელებას იწყებენ სახელმწიფო ორგანოებისგან შესაბამისი ნებართვების მოპოვებამდე; არ ატარებენ გზშ-ს, არ მოიპოვებენ ნებართვას და შესაბამისად, არღვევენ კანონს (ამის ბოლო, ყველაზე ნათელი მაგალითებია: ბოლნისის რაიონში კომპანია RMG-ის მიერ მადნის გამოსატუტი მოედნების მოწყობა, კომპანია „დარიალი ენერჯის“ მიერ დარიალის ჰესის მშენებლობა ყაზბეგის რაიონში). ასეთ შემთხვევებში, მაკონტროლებელი ორგანოები, უკეთეს შემთხვევაში, როგორც წესი, შემოიფარგლებიან ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებით, ხოლო საწარმოები კვლავ აგრძელებენ უკანონოდ მუშაობას. მაკონტროლებელი ორგანოები არც კი განიხილავენ მომუშავე საწარმოების დახურვის და გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის მოთხოვნის შესაძლებლობას. ოდესმე, მოგვიანებით, „ინვესტორები“ მოინდომებენ ნებართვის მოპოვებას, მაგრამ ასეთ, უკვე მიმდინარე საქმიანობის შემთხვევაში, გზშ-ს ჩატარება ყოველგვარ აზრს მოკლებულია, ვინაიდან გზშ დაგეგმილი და არა მიმდინარე, საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის დამხმარე ინსტრუმენტი. მიმდინარე საქმიანობის გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შესაფასებლად სხვა ინსტრუმენტი - გარემოსდაცვითი აუდიტი - გამოიყენება. აი, სწორედ ამას ითვალისწინებს კანონპროექტი: უკანონოდ დაწყებული საქმიანობის ლეგალიზებას ეკოლოგიური (გარემოსდაცვითი) აუდიტის ჩატარებისა და „მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების“ - ნებართვის გაცემის გზით.

ამგვარად, ზემოთ მოყვანილი განმარტებებიდან და მთლიანად, 47-ე მუხლის შინაარსიდან, ნათელი ხდება, რომ:

- (ა) „მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება“ პრაქტიკულად, **ახალი ტიპის ნებართვა** (უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა - ლიცენზია, ვინაიდან ის საქმიანობის და არა ქმედების განხორციელების უფლებას იძლევა)¹¹, რომელიც **გაიცემა უკანონო საქმიანობის**

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა 2014 წლის 1 იანვრამდე. ეს ვადა მოგვიანებით გადავადდა 2015 წლის 1 იანვრამდე და ბოლოს, ახალმიღებულ „ნარჩენების მართვის კოდექსში“ არსებულ ნაგავსაყრელებზე სპეციალური მუხლის არსებობის გამო, საერთოდ გაუქმდა.

¹¹ საგულისხმოა, რომ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ ჩარჩო-კანონის პირველი მუხლის თანახმად, მხოლოდ ამ კანონით შეიძლება იქნეს შემოღებული ახალი ლიცენზია ან ნებართვა (...ეს კანონი განსაზღვრავს ლიცენზიისა და ნებართვის

ლეგალიზებისთვის; იმისათვის, რომ უკანონოდ ფუნქციონირებადმა საწარმომ „ლეგალურად“ შეძლოს ფუნქციონირების გაგრძელება (და თანაც, უსასრულოდ - იხ. ქვემოთ).

- (ბ) ამ „ნებართვის“ მოსაპოვებლად, უკანონო საქმიანობის განმახორციელებელმა, სამინისტროში უნდა წარადგინოს „ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში“ და „მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი“. გეგმა-გრაფიკის ვადებს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ადგენს სამინისტრო (მე-11 პუნქტი).
- (გ) „ნებართვას“ უკანონო საქმიანობის ლეგალიზებისთვის გასცემს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით (47-ე მუხლის მე-4-მე-10 პუნქტები), თუმცა რა ვადით - კანონპროექტიდან გაუგებარია (1 წლით, 5-ით, 10-ით თუ 20-ით - ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სამინისტროს გადასაწყვეტია). სხვა სიტყვებით, უკანონოდ ფუნქციონირებადი საწარმო „ლეგალურად“ შეძლებს ფუნქციონირების გაგრძელებას მისთვის ხელსაყრელი ვადით, სამინისტროსთან მოლაპარაკების საფუძველზე.
- (დ) „ნებართვით“ დადგენილი პირობების სრულად და დროულად შესრულების შემთხვევაში, მიმდინარე საქმიანობის განმახორციელებელს ეძლევა უფლება, მიმართოს სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების თხოვნით. ამ შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელმა მაინც უნდა ჩაატაროს გზშ და ნებართვის მოსაპოვებლად წარადგინოს გზშ ანგარიში სამინისტროში. ეს მოთხოვნა კვლავ აზრს მოკლებულია, ვინაიდან, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, გზშ დაგეგმილი, და არა მიმდინარე საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის დამხმარე ინსტრუმენტია.
- (ე) უკანონო საქმიანობის ლეგალიზებისთვის, კანონდამრღვევებს დადგენილი აქვთ ვადა - 2017 წლის 1 ივნისამდე (მე-2 პუნქტი). ეს თითქოს ნიშნავს, რომ უკანონო საქმიანობის ლეგალიზებისთვის კანონპროექტით შემოთავაზებული ნორმები დროებითია, მაგრამ ამის დაჯერება მხოლოდ თავის მოტყუება იქნებოდა. კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო ვადების მუდმივად გადაწევის ბოლო 20 წლის განმავლობაში დამკვიდრებული პრაქტიკა არ იძლევა იმის საბაზას, დავიჯეროთ, რომ ეს დროებითი ნორმაა და „2017 წლის 1 ივნისი“ მომავალში არ შეიცვლება რაიმე სხვა, „ინვესტორებისთვის“ და მაკონტროლებელი ორგანოებისთვის უფრო მისაღები ვადით. ანალოგიურად, უნდა ვიფიქროთ, რომ ძალზე დიდია „ლეგალიზებადი“ უკანონო საქმიანობის დროით ზღვრად დადგენილი ვადის - 2015 წლის 1 ივნისის - შეცვლის ალბათობაც.
- (ვ) კანონპროექტი, თითქოს, არ გამორიცხავს უნებართვოდ მომუშავე კანონდამრღვევის მიმართ ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესაძლებლობას (მე-15 - მე-19 პუნქტები), თუმცა, საბოლოოდ, მაინც არ არის ნათელი, როდის, რა შემთხვევაში დგება პასუხისმგებლობის დაკისრების მომენტი. აქ ყურადსაღებია შემდეგი ასპექტები:
- მე-15 პუნქტში ნათქვამია, რომ უკანონო საქმიანობის ლეგალიზებისთვის მიღებული „ნებართვა“ არ ათავისუფლებს ამ საქმიანობის განმახორციელებელს „ნებართვის“ გაცემამდე და „ნებართვის“ გაცემის შემდგომ გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. ამ პუნქტში საუბარია მხოლოდ გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, მაგრამ არაფერია ნათქვამი, ათავისუფლებს თუ არა „ნებართვა“ კანონდამრღვევებს გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე საქმიანობის განხორციელებისათვის გათვალისწინებული ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. საინტერესოა, ასევე, მაგალითად, გამოიყენება თუ არა გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე საქმიანობისთვის გათვალისწინებული

სახეების ამომწურავ ჩამონათვალს..“); „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონი კი ასეთი სახის ნებართვას ან ლიცენზიას („მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება“) დღესაც არ ცნობს.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომები, თუ კანონის ამოქმედების მომენტისთვის უნებართვოდ მოქმედი კანონდამრღვევის მიმართ უკვე გამოყენებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ყველა ზომა და კანონდამრღვევმა მიმართა სამინისტროს უკანონო საქმიანობის ლეგალიზების „ნებართვის“ მოსაპოვებლად ან უკვე მოიპოვა ასეთი ნებართვა?!

- უკანონო საქმიანობის ლეგალიზების „ნებართვით“ დადგენილი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მე-16, მე-17 და მე-18 პუნქტები ითვალისწინებენ საჯარიმო სანქციების გამოყენების შესაძლებლობას. კერძოდ, პირობების შეუსრულებლობის პირველად დაფიქსირების შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელი დაჯარიმდება; პირობების შეუსრულებლობის მეორედ დაფიქსირების შემთხვევაში - ჯარიმა გასამმაგდება და მესამედ დაფიქსირების შემთხვევაში - კიდევ ერთხელ გასამმაგდება. **ყოველ ჯერზე, პირობების შეუსრულებლობის დაფიქსირების შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებასთან ერთად, სამინისტროს აქვს შესაძლებლობა, [უკანონო] საქმიანობის განმახორციელებელს, დაუდგინოს ახალი პირობები და ახალი ვადები.** ყურადსაღებია, რომ საწყისი გადაწყვეტილებისგან განსხვავებით (იხ. შენიშვნა „გ“ ზემოთ), **პირობებისა და ვადების ხელახლა დადგენის ეს გადაწყვეტილებები არ მიიღება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.** ეს კი, კორუფციული გარიგებების დადების ძალზე კარგ შესაძლებლობას ქმნის, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმას, თუ როგორ საწარმოებზე (არაკანონმორჩილ, ურჩ სუბიექტებზე) ვრცელდება საერთოდ ეს 47-ე მუხლი.
- 47-ე მუხლის ბოლო, მე-19 პუნქტის თანახმად, მესამედ დაჯარიმებისა და ხელახლა დადგენილი პირობების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამინისტრო ძალადაკარგულად აცხადებს უკანონო საქმიანობის ლეგალიზების „ნებართვას“. რა ხდება ამის შემდეგ - კანონპროექტიდან ყოვლად გაუგებარია. მაგალითად, არ არის ნათელი, არის თუ არა ვალდებული საქმიანობის უკანონოდ მწარმოებელი სუბიექტი, ადადგინოს გარემო საწყის (ან საწყისთან მიახლოებულ) მდგომარეობამდე?! ეკისრება, თუ არა მას გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია?!

ზემოაღწერილი გვაძლევს საფუძველს იმისა, რომ მოვითხოვთ კანონპროექტიდან 47-ე მუხლის ამოღება. ამასთან, ამ პოზიციის გასამყარებლად, დავამატებთ შემდეგს:

- 47-ე მუხლით შემოთავაზებული მექანიზმი მიკერძოებულია არაკანონმორჩილი მეწარმეების და არასამართლიანია კანონმორჩილი მეწარმეების მიმართ; ის, ასევე, ქმნის კორუფციული გარიგებების დადების ფართო შესაძლებლობებს.
- შესაძლოა, კანონპროექტის 47-ე მუხლით შემოთავაზებული მექანიზმი ვინმემ ჩათვალოს კანონდასრულების ხელშეწყობად და მეწარმეთა მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა ნებაყოფლობითი შესრულების სტიმულირების მექანიზმად (voluntary compliance mechanisms), მაგრამ ეს მექანიზმი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება გაგებული ასეთად. **შემოთავაზებული მექანიზმი პირდაპირ მიმართულია უკანონოდ წარმოებული საქმიანობების ლეგალიზებაზე და არც კი იხილავს იმის შესაძლებლობას, რომ სამინისტრომ უარი თქვას უკანონოდ წარმოებული საქმიანობის გაგრძელებაზე, გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის მოსაზრებებით!** მექანიზმი შემოტანილია მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ: (1) როგორც, საწარმოთა გაჩერების გარეშე, რეგულირების ქვეშ მოაქციონ საბჭოთა დროიდან მომუშავე ურჩი მსხვილი დამაბინძურებლები, რომელთათვისაც უზრალოდ არარენტაბელურია გარემოს დაბინძურების შემცირება, ადამიანთა (როგორც საწარმოებში დასაქმებულთა, ისე საწარმოთა ზეგავლენის ქვეშ მოქცეულთა) ჯანმრთელობაზე ზრუნვა და გარემოსდაცვით ღონისძიებებში ინვესტირება და (2) სახელმწიფო ორგანოებმა დაიტოვონ შესაძლებლობა,

ლეგალური გახადონ „ზემოდან“ თავსმოხვეული, „ნებადართული“ და არალეგალურად მიმდინარე პროექტები.

- ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული მექანიზმის შემოღების ნაცვლად, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ უნდა მოახდინოს რეგულირებადი საზოგადოების სრული ინვენტარიზაცია და დააწესოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა აღსრულების ხელშეწყობის სამართლიანი და გამჭვირვალე სისტემა; აუცილებელია კანონდასრულების კონტროლის კანონმდებლობის სრულყოფა და ამის პარალელურად, რეგულირებადი საზოგადოების სპეციფიური ჯგუფების (და თითოეულ ჯგუფში კონკრეტული ობიექტების) დადგენა და მათ მიმართ კონკრეტული მიდგომების შემუშავება; ამჟამად გატარებული “თვალის დახუჭვისა” და პრობლემაზე რეაგირების “უკეთესი მომავლისთვის” გადავადების სტრატეგიის ნაცვლად, თითოეულ ჯგუფზე მიმართული, კანონდასრულების ხელშეწყობის ქმედითი და რეალისტური მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმების შემუშავება. ამისათვის, თავის მხრივ, აუცილებელია საჭირო ხარჯების გათვლა და შესაბამისი სტრუქტურების ბიუჯეტში ასახვა. ძალზე მნიშვნელოვანია, ასევე, გეგმების საზოგადოებისთვის გაცნობა და საზოგადოებრივი აზრის მოსმენა.

6.2 აქვე, ძალზე მოკლედ, შევხებით გარემოსდაცვითი (ეკოლოგიური) აუდიტის ჩატარების საკითხს, ვინაიდან, სწორედ 47-ე მუხლშია ეს ინსტრუმენტი მოხსენიებული და ამჟამად მოქმედ კანონმდებლობაშიც, როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, მოცემულია ანალოგიური ნორმა.

კანონპროექტით და ამჟამად მოქმედი ნორმებითაც („გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონის 9¹ მუხლი - ძალაშია 2015 წ. 1 ივნისიდან), უკანონო საქმიანობის ლეგალიზებისთვის „ნებართვის“ მოსაპოვებლად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია, ჩაატაროს „ეკოლოგიური აუდიტი“ და ანგარიში წარუდგინოს სამინისტროს. ამჟამად მოქმედი ნორმის შესასრულებლად, 2015 წლის ივნისშივე, მიღებულ იქნა კანონქვემდებარე აქტი¹², რომელმაც განსაზღვრა, თუ რა უნდა შეფასდეს ეკოლოგიური აუდიტისას და რა სახის ინფორმაცია უნდა აისახოს ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშში. ამ კანონქვემდებარე აქტის ანალიზისას, აბსოლუტურად ნათელია, რომ „ეკოლოგიური აუდიტი“ პირდაპირ გაიგივებულია გზშ-სთან და საერთოდ არ პასუხობს აქტის შესავალ ნაწილშივე დეკლარირებულ „ეკოლოგიური აუდიტის“ მიზანს - „საქმიანობის გარემოსდაცვით ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა“.

მაშინ, როდესაც გარემოსდაცვითი აუდიტი (environmental audit), უპირველეს ყოვლისა, ემსახურება საწარმოს საქმიანობის გარემოსდაცვითი კანონმდებლობასთან შესაბამისობის, რესურსების, რისკების და მართვის სისტემის შეფასებას, წარმოდგენილ კანონპროექტში (ანალოგიურად, მოქმედ კანონმდებლობაში), შეიძლება ითქვას, რომ გარემოსდაცვითი აუდიტის, როგორც ინსტრუმენტის არსი და მისი გამოყენების სარგებელი, მთლიანად დამახინჯებულია.


გარემოსდაცვითი აუდიტი, მართალია, მიმდინარე (და არა დაგეგმილი) საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტია, მაგრამ კანონპროექტში შემოთავაზებულ კონტექსტში - უკანონო საქმიანობის ლეგალიზებისა და შეუფერხებელი მუშაობის ხელშეწყობისთვის - მისი გამოყენება, მიუღებელია.

აქვე, უპრიანი იქნება გავიხსენოთ, რომ გარემოსდაცვითი აუდიტის შესახებ კანონის მიღების აუცილებლობას ითვალისწინებს ჯერ კიდევ 1996 წელს მიღებული ჩარჩო-კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“. კანონის მე-20 და 21-ე მუხლები დღემდე მოიცავს ზოგად დებულებებს გარემოსდაცვითი აუდიტის შესახებ, ხოლო ამავე კანონის განმარტებით ბარათში ჩამოთვლილ, „გარემოს დაცვის

¹² საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 11 ივნისის #201 ბრძანება „ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შედგენისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესების შესახებ“

შესახებ“ კანონიდან გამომდინარე მისაღებ აქტებს შორის, მოხსენიებულია გარემოსდაცვითი აუდიტის შესახებ კანონიც. სამწუხაროდ, ეს კანონი დღემდე არ შემუშავებულა და ვფიქრობთ, წარმოდგენილ კანონპროექტთან ერთად, განსაკუთრებით სასარგებლო და მიზანშეწონილი იქნებოდა გარემოსდაცვითი აუდიტის შესახებ კანონპროექტზე მუშაობის დაწყებაც.

გარემოსდაცვითი აუდიტის შესახებ კანონის არსებობა აუცილებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ გაზიარებული იქნება ჩვენი რეკომენდაცია გზშ-ს დაქვემდებარებულ საქმიანობებზე გარემოსდაცვითი ნებართვის არა უვადოდ, არამედ გარკვეული ვადით გაცემის აუცილებლობის შესახებ (იხ. ქვემოთ ცხრილში კანონპროექტის მე-12 მუხლთან დაკავშირებით მოცემული მოსაზრება) და ასევე, რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ მეორე დანართში მოქცეულ საქმიანობებს (რომლებიც არ ექვემდებარებიან გზშ-ს), მაინც უნდა ჩაუტარდეთ შეზღუდული გარემოსდაცვითი კვლევა და მათზეც უნდა გაიცეს ნებართვა გარკვეული ვადით (იხ. ზემოთ შენიშვნა 5. „მეორე დანართით გათვალისწინებული საქმიანობების რეგულირება“). ასეთ შემთხვევაში, გარემოსდაცვითი აუდიტის ჩატარება აუცილებელი იქნება გარემოსდაცვითი ნებართვის ვადის გასვლისას, საქმიანობის გაგრძელების შემთხვევაში. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში, გრაფიკულადაა წარმოდგენილი ჩვენი რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში, როგორ შეიძლება მოეწყოს რეგულირების სქემა.



7. საექსპერტო კომისია, მისი დამოუკიდებლობის და კომისიის მიერ გაწეული სამუშაოს ხარისხიანობის უზრუნველყოფა; გადაწყვეტილების მიმღებთა ზემდგომებისგან დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საექსპერტო კომისიის ფუნქციები, კომისიის წევრების უფლება-მოვალეობები და კომისიის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განსაზღვრულია კანონპროექტის მე-6 თავში (მოიცავს სულ ორ მუხლს).

კანონპროექტის თანახმად, სამინისტრო „ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით“, ნებართვის მაძიებლის მიერ სამინისტროში სხვადასხვა ეტაპზე წარდგენილ დოკუმენტებზე/კვლევებზე ექსპერტიზის დასკვნის მოსამზადებლად, ქმნის საექსპერტო კომისიას. ამ თემასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ორი საკითხი, რომელიც არასათანადოდაა ასახული კანონპროექტში; ესენია:

(ა) არ არის ნათელად ჩამოყალიბებული, რა არის ეკოლოგიური ექსპერტიზის მიზანი და ამოცანები? რატომ ტარდება ის? რის დასადგენად? 44-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში ახსნილია, რა ტიპის და შინაარსის შეიძლება იყოს [მთელი სისტემის მხოლოდ ერთ ეტაპზე] გზმ-ს ანგარიშზე გაცემული დასკვნა (და იქვე, ეს ავტომატურად გავრცელებულია სგმ-ზეც, რაც ასევე არ არის სწორი, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ სგმ-ში ჯანდაცვის საკითხები უფრო სიღრმისეულად იხილება, ვიდრე გზმ-ში) და არა ექსპერტიზის მიზანი ანდა ამოცანები. ჩვენი აზრით, ამ საკითხის ნათელად განსაზღვრა, სხვა საკითხებთან ერთად, წვლილს შეიტანს შემდგომ პუნქტში განხილული პრობლემის გადაჭრაში.

(ბ) კანონპროექტიდან არ არის ნათელი, რა (რა მექანიზმი) უზრუნველყოფს საექსპერტო კომისიის დამოუკიდებლობას დასკვნების მომზადებისას. დღემდე დაგროვილი, თითქმის 20-წლიანი პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ექსპერტების დასკვნა, დასკვნის პირობები, პირდაპირ, სიტყვა-სიტყვით აისახება ნებართვის გამცემის გადაწყვეტილებაში. ასეთი (საკანონმდებლო) სისტემა ქმნის ძალზე დიდ შესაძლებლობას იმისა, რომ ექსპერტებმა (რომლებიც სახელმწიფო მოხელეები და რეალურად, არათუ რაიმე ხარისხით დამოუკიდებელი, არამედ გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან პირდაპირ დაქვემდებარებულნი არიან) განიცადონ ზეწოლა თავისი პროფესიული აზრის ჩამოყალიბებისას. ძალზე დიდია რისკი იმისა, რომ ექსპერტებმა თავისი დასკვნები, რეალური ზეწოლის ქვეშ ან თვითკონტროლით, ჩამოაყალიბონ ზემდგომისთვის მისაღები ფორმით. ეს კი გადაწყვეტილების მიმღებს აძლევს საშუალებას გადაწყვეტილების მთელი ტვირთი ექსპერტებს „აკიდოს“. მოვლენების ამგვარად განვითარების რისკი განსაკუთრებით დიდია პოლიტიკური მნიშვნელობის (ან/და ძლიერი ლობისტების) და დიდი ეკონომიკური სარგებლის მქონე პროექტებზე გადაწყვეტილებების მიღებისას.

კანონპროექტი, მართალია განასხვავებს ერთმანეთისგან ექსპერტების დასკვნებსა და გადაწყვეტილებების მიმღებების დასკვნებს, მაგრამ კანონპროექტში მაინც არ ჩანს ამ დოკუმენტებს შორის ურთიერთდამოკიდებულება. არ ჩანს, იყენებს თუ არა და რა ფორმით გადაწყვეტილების მიმღები პირი ექსპერტთა მიერ სხვადასხვა ეტაპზე მომზადებულ დასკვნებს.

ჩვენი აზრით, ექსპერტთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა, თუ კანონპროექტი ექსპერტთა (საექსპერტო კომისიის) დასკვნებს ნათელად მიანიჭებდა **სარეკომენდაციო სტატუსს** და ამასთანავე დაუშვებდა, რომ გადაწყვეტილების მიმღებთა (სამინისტროს) საბოლოო დასკვნები/გადაწყვეტილებები შესაძლოა, განსხვავდებოდნენ ექსპერტთა დასკვნებისგან. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს სამინისტროს გადაწყვეტილებების დასაბუთებლობას და ასევე, გამჭვირვალობას (ყველა დოკუმენტის გამოქვეყნებას).

აქვე უნდა აღინიშნოს **ექსპერტიზაში ჩართულ ექსპერტთა კვალიფიკაციაზეც**. ექსპერტიზაში ჩართულ ექსპერტთა (ისევე როგორც გზმ-ს მომზადებაში ჩართულთა) დაბალკვალიფიციურობას შესაძლოა მოჰყვეს კატასტროფული შედეგები (და ეს პრაქტიკითაც დადასტურდა). ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტი ითვალისწინებდეს ექსპერტიზაში ჩართულ ექსპერტთა კვალიფიკაციის შემოწმების, ასევე კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობებს; ასევე, შესაძლოა, სასარგებლო იყოს ექსპერტთა ნამუშევრის - დასკვნის - ხარისხის შემოწმების მექანიზმის შემოღებაზე დაფიქრებაც.

ამ ნაწილის დასასრულს, გადაწყვეტილებების მიღების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, გვსურს, წამოვჭრათ კიდევ ერთი საკითხი; ესაა - **სამინისტროს / ნებართვის გამცემი თანამდებობის პირების ზემდგომთა ზეგავლენისგან დამოუკიდებლობა**.

საქართველოში დღემდე ხშირია შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო (უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა - უმაღლესი თანამდებობის პირები) გამოხატავს დაინტერესებას ამა თუ იმ მსხვილმასშტაბიანი პროექტის განხორციელების თაობაზე ისე, რომ ხშირად ამ პროექტების აუცილებლობა და მათი

განხორციელების შესაძლებლობები არ არის წინასწარ განხილული შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თუ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. როგორც წესი, ასეთი დაინტერესების გამოხატვა ეფუძნება მოსალოდნელ ეკონომიკურ თუ სოციალურ სარგებელს, ან განპირობებულია პოლიტიკური მოსაზრებებით. ცნობილია იმის მაგალითებიც, თუ როგორ ხდებოდა საქართველოს უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ სხვადასხვა პროექტის ინიცირება (რომლებიც მხოლოდ გარკვეული უწყების ან ადამიანთა ჯგუფის ინტერესს გამოხატავდნენ) და მოთხოვნა იმისა, რომ ცენტრალურ და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ყოველმხრივ დაეჭირათ მხარი ამ პროექტებისთვის. ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევებში, გზშ-ს ჩატარებისა და ნებართვის გაცემის პროცედურა ფორმალურ ხასიათს ატარებს. გარემოსდაცვითი უწყება მოკლებულია შესაძლებლობას, დააფიქსიროს თავისი პოზიცია პროექტის გარემოსდაცვითი თვალსაზრისით აკვარგიათობის შესახებ.

ამასთან, ხშირად, ამა თუ იმ პროექტის განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღება სცდება ერთი კონკრეტული უწყების კომპეტენციას - როდესაც საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას საჭირო ხდება არამარტო გარემოსდაცვითი მოსაზრებების გათვალისწინება, არამედ პროექტებთან დაკავშირებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებაც. აღნიშნულის გამო, შესაძლოა, გარემოსდაცვითი ნებართვით რეგულირებად ზოგიერთ საქმიანობაზე დაწესდეს გადაწყვეტილების მიღების არსებულისგან განსხვავებული წესი. კერძოდ, შესაძლოა, ზოგიერთი საქმიანობის/პროექტის შემთხვევაში (მას მერე, რაც საქმიანობა გაივლის კანონით დადგენილ ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცედურას (მიღებული იქნება ექსპერტიზის დასკვნა) და სამინისტროც მიიღებს გადაწყვეტილებას), საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭებაზე საბოლოო გადაწყვეტილება (development consent-ი) მიიღოს საქართველოს მთავრობამ ან პრემიერ-მინისტრმა. საქმიანობების შერჩევის ერთ-ერთ კრიტერიუმად (სხვა კრიტერიუმებთან ერთად), ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს ინვესტიციის ოდენობა; ანუ, თუ მაგალითად, კონკრეტული პროექტის შემთხვევაში, ინვესტიციის სავარაუდო ოდენობა გადააჭარბებს გარკვეულ დაწესებულ ზღვარს, საბოლოო გადაწყვეტილება ამ საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭების თაობაზე მიღებულ უნდა იქნეს საქართველოს მთავრობის ან პრემიერ-მინისტრის მიერ.

ამგვარი ცვლილება გადაწყვეტილების მიღების წესში მრავალმხრივ სასარგებლო იქნება: (ა) ხელს შეუწყობს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას როგორც გარემოსდაცვითი, ისე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ასპექტების გათვალისწინებას; (ბ) ამა თუ იმ პროექტის განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღების ტვირთი დააწვება არა ერთ კონკრეტულ სამინისტროს, არამედ მთავრობას/პრემიერ-მინისტრს; (გ) გრძელვადიან პერსპექტივაში, ამგვარმა ცვლილებამ შესაძლოა, ხელი შეუწყოს დაგეგმვის არსებული სისტემის გაუმჯობესებას და იმ მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრას, როდესაც ჯერ მიიღება გადაწყვეტილება ამა თუ იმ პროექტის განხორციელების თაობაზე და ამის შემდეგ ხდება იმის შეფასება, თუ რა სარგებელს (ან ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან დაკავშირებულ ზიანს) მოუტანს ის ქვეყანას.

7. საზოგადოების მონაწილეობა

თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობით გადაწყვეტილებების (მათ შორის, გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე საქმიანობებზე გადაწყვეტილებების) მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები, პრაქტიკულად, არ არსებობს, **კანონპროექტით მოცემული საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმები უდავოდ მნიშვნელოვანი წინადადებული ნაბიჯია გზშ სისტემის დახვეწის და ასევე, ორჰუსის კონვენციისა და ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების მოთხოვნათა შესრულების მიმართულებით. განსაკუთრებით მისასალმებელია ის, რომ საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის ვალდებულება კვლავ დაუბრუნდა სახელმწიფოს და ასევე ის, რომ საზოგადოების ინფორმირება და მონაწილეობა უზრუნველყოფილია გზშ სისტემის სხვადასხვა ეტაპზე.**

ამასთან, მიუხედავად ამ დადებითი ცვლილებებისა, გამოვყოფთ ოთხ საკითხს, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული საზოგადოების სრულფასოვანი ინფორმირებისა და ეფექტური მონაწილეობის უზრუნველყოფასთან.

(ა) მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტი ითვალისწინებს საზოგადოების მონაწილეობას სკოპინგისა და გზშ ანგარიშის განხილვის ეტაპზე, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ კიდევ უფრო ადრეულ, **სკრინინგის ეტაპზე მონაწილეობა**, ბევრად უფრო ეფექტურს და ეფექტიანს გახდის მთელ გზშ პროცესს. ამ საკითხთან დაკავშირებული დასაბუთება მოცემულია ზემოთ, მე-3 პუნქტში.

(ბ) კანონპროექტით, ნებართვის მაძიებელს „საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად“ (მე-10 მუხლი, მე-2 პუნქტი, „ჟ“ ქვეპუნქტი), მოეთხოვება გზშ ანგარიშთან (იგივე ქვეპუნქტი) და სგშ ანგარიშთან (27-ე მუხლის, მე-3 პუნქტის, „ლ“ ქვეპუნქტი) ერთად, ანგარიშების **არატექნიკური რეზიუმეების** წარდგენა. სამწუხაროდ, კანონპროექტში შემდგომ არსადაა ახსნილი, კონკრეტულად როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ეს საშუალება საზოგადოების ინფორმირებისთვის. მსოფლიოში დამკვიდრებული (და საქართველოში ზოგ შემთხვევაში გამოყენებული) პრაქტიკის თანახმად, როგორც წესი, იბეჭდება ასობით ეგზემპლარი არატექნიკური რეზიუმე და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობაში ვრცელდება. არატექნიკური რეზიუმე გამოიყენება ასევე ზოგადად, დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებისთვის და ვრცელდება ბიბლიოთეკებში, სასწავლებლებში და სხვა ხალხმრავალ ადგილებში. არატექნიკური რეზიუმეს გარკვეული რაოდენობა, რა თქმა უნდა, ხელმისაწვდომია თავად გზშ ანგარიშების განთავსების ადგილებში. რომ შევაჯამოთ, გამოყენებული უნდა იქნეს ყველა შესაძლებლობა, არატექნიკური რეზიუმეს ფართოდ გავრცელების გზით, დაგეგმილი საქმიანობისა და მისი შესაძლო შედეგების შესახებ საზოგადოების მეტად ინფორმირებისთვის. ამდენად, **აუცილებლად მიგვაჩნია, კანონპროექტში არატექნიკური რეზიუმეს გავრცელებასთან დაკავშირებული ვალდებულებების ასახვა** (ქვემოთ ასევე იხილეთ შენიშვნები მე-3 და 32-ე მუხლებზე)

(გ) კანონპროექტის სხვადასხვა მუხლში, სხვადასხვა კონტექსტში, მოცემულია უკვე მიღებული გადაწყვეტილებების ან/და დამუშავებული, **მზა ინფორმაციის გამოქვეყნების** (ზოგ შემთხვევაში, უწყებისთვის წარდგენის) ვადები. ეს ვადები ვარირებს 5-დან 10 დღემდეც კი. ვფიქრობთ, კანონპროექტში გამოქვეყნებისთვის/ინფორმაციის გადაცემისთვის მოცემული ვადები ძალზე გადაჭარბებულია, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ინფორმაცია მხოლოდ და მხოლოდ ვებ-გვერდებზე უნდა გამოქვეყნდეს.

(დ) **საჯარო განხილვის ადგილთან** დაკავშირებით კანონპროექტის სხვადასხვა მუხლში არაერთხელ გვხვდება შემდეგი ჩანაწერი „საჯარო განხილვა ტარდება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე ადმინისტრაციული ორგანოს შენობაში“ (მაგალითისთვის, იხ. მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი). საქმე იმაშია, რომ მსხვილმასშტაბიანი პროექტების შემთხვევაში, როგორც წესი, ადამიანთა დიდი რაოდენობა ექცევა პროექტების ზეგავლენის ქვეშ და შესაბამისად, ასეთი პროექტების მიმართ ინტერესი მაღალია. ამდენად, ბევრია ამ პროექტებთან დაკავშირებულ საჯარო განხილვებში მონაწილეობის მსურველიც. ადმინისტრაციული ორგანოების შენობების შეხვედრათა დარბაზები, ხშირად არ არის გათვლილი ადამიანთა დიდ რაოდენობაზე და ამდენად, შესაძლოა დადგეს სხვა, უფრო შესაფერის შენობაში ჩატარების საჭიროება (პრაქტიკაში ასეთ შემთხვევებს არაერთხელ შევხვედრივართ). ვფიქრობთ, ასეთი ვითარების თავიდან ასაცილებლად, სასურველია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს შენობასთან ერთად, კანონპროექტში არსებობდეს ე.წ. „ღია დებულებაც“, რომელიც საჯარო განხილვის ადგილის შერჩევისას არჩევანის საშუალებას დატოვებს.

8. იძულებითი განსახლება

განსახილველად წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, გზშ კვლევის ჩატარებისას შესწავლილი უნდა იყოს და შესაბამისად, ანგარიშში უნდა აისახოს დაგეგმილი საქმიანობის ზეგავლენა მოსახლეობაზე. ეს მოთხოვნა დღეს მოქმედ კანონმდებლობაშიც არსებობს. პრაქტიკაში, ასეთი მოთხოვნის გამო, გამონაკლის შემთხვევებში, გზშ ანგარიშებში ვხვდებით ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ ვის მოუწევს პროექტის გამო იძულებით ფიზიკური ან ეკონომიკური განსახლება. ეს ინფორმაცია, როგორც წესი, ძალზე მოკლე და ზოგადია. ამასთან, **გზშ ანგარიშები არ მოიცავენ მოსახლეობაზე ამ ზეგავლენის შემცირების ან შერბილების, ასევე, კომპენსირების მექანიზმებსა და ვალდებულებებს. მოსახლეობის იძულებითი განსახლების საკითხი, საბოლოოდ, საერთოდ იგნორირებულია როგორც ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ისე სახელმწიფო ორგანოთა მიერ საქმიანობის მონიტორინგისა და კონტროლისას.**

მწვანე ალტერნატივამ დეტალურად შეისწავლა განვითარების პროექტებით გამოწვეული იძულებითი განსახლების რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხები. ამ კვლევის შედეგები, ასევე დეტალური რეკომენდაციები მოცემულია მწვანე ალტერნატივას პუბლიკაციაში „განვითარების პროექტებით გამოწვეული იძულებითი განსახლება - თანამედროვე მიდგომები და საქართველოს გამოწვევები“.¹³ აქ კი, აღვნიშნავთ, რომ საკითხის სიმწვავიდან გამომდინარე, გადაუდებლად აუცილებელია, რომ კანონპროექტში ცალკე თავი (ან მუხლები) დაეთმოს დაგეგმილი საქმიანობებით გამოწვეული იძულებითი განსახლების საკითხს.

¹³ „განვითარების პროექტებით გამოწვეული იძულებითი განსახლება - თანამედროვე მიდგომები და საქართველოს გამოწვევები“, 2012. ხელმისაწვდომი: http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/iZulebiTi_gansaxleba.pdf

II. მუხლობრივი შენიშვნები და წინადადებები

ქვემოთ, თავდაპირველად, ცხრილებში წარმოდგენილია კანონპროექტიდან კონკრეტული დებულებები და შემდგომ მოცემულია ჩვენი შენიშვნები ან/და წინადადებები.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 2. კოდექსის მიზნები და ამოცანები

1. ამ კოდექსის მიზნებია:

...

გ) სახელმწიფოს და საზოგადოების გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინება ისეთი სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე.

შენიშვნა / წინადადება 1:

პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი სასურველია, ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„გ) სახელმწიფოს და საზოგადოების გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების თანაზომიერად გათვალისწინება ისეთი სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე.“

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ კოდექსის მიზნებისათვის, კოდექსში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

...

ბ) არატექნიკური რეზიუმე – გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ან სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის მოკლე აღწერა გრაფიკული და სხვა საილუსტრაციო მასალის თანდართვით.

გ) გარემოზე ზემოქმედება - საქმიანობის ან სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგად ნებისმიერი ზემოქმედება გარემოზე, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს ზეგავლენას შემდეგ ფაქტორებზე: ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, ბიომრავალფეროვნება და მისი შემადგენელი კომპონენტები, ფიზიკური გარემო, წყალი, ჰაერი, ნიადაგი, კლიმატი, ლანდშაფტი, დაცული ტერიტორიები, ისტორიული ძეგლები ან ამ ფაქტორებს შორის არსებული ურთიერთქმედება. გარემოზე ზემოქმედება აგრეთვე მოიცავს კულტურულ მემკვიდრეობაზე ან სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე ზემოქმედებას, რაც გამოწვეულია მათი ცვლილებით;

....

ვ) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - ნებართვის მაძიებლის ან/და კონსულტანტის მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში მომზადებული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ამ კოდექსით დადგენილ ინფორმაციას.

...

მ) მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება - მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანება, რომელიც მიმდინარე საქმიანობის განმახორციელებელს ანიჭებს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების უფლებას;

...

უ) საქმიანობა - სამშენებლო, სამონტაჟო ან სქემატური სამუშაოები, ან ამ კოდექსით განსაზღვრული სხვა საქმიანობები, მათ შორის მინერალური რესურსების მოპოვება, რომელიც იწვევს გარემოსა და ლანდშაფტზე გარკვეულ ზემოქმედებას.

...

შენიშვნა / წინადადება 2:

2.1 „ბ“ ქვეპუნქტი სასურველია, ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ბ) არატექნიკური რეზიუმე – გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ან სტრატეგიული გარემოსდაცვით შეფასების ანგარიშის საფუძველზე მომზადებული მოკლე დოკუმენტი, რომელიც მოიცავს საქმიანობის ან სტრატეგიული დოკუმენტის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას (მათ შორის, პროექტის ან სტრატეგიული დოკუმენტის განმახორციელებლის, შინაარსის, ადგილის, შესაძლო ზემოქმედების და ანგარიშით გათვალისწინებული სხვა საკითხების შესახებ), შესრულებულია არატექნიკურ ენაზე და იოლად გასაგებია ფართო საზოგადოებისთვის“.

2.2 „გ“ ქვეპუნქტში გაუგებარია ბოლო წინადადება: „გარემოზე ზემოქმედება აგრეთვე მოიცავს კულტურულ მემკვიდრეობაზე ან სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე ზემოქმედებას, რაც გამოწვეულია მათი ცვლილებით“. რას ეხება ფრაზა: „რაც გამოწვეულია მათი ცვლილებით“?

2.3 „ვ“ ქვეპუნქტში („გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის“ განმარტებაში) „კონსულტანტის“ მოხსენიება, ვფიქრობთ, აზრს მოკლებულია, ვინაიდან კონსულტანტი ანგარიშს ადგენს ნებართვის მამიებლისთვის და სწორედ ეს უკანასკნელი წარადგენს სამინისტროში მას ნებართვის მოსაპოვებლად; ნებართვის მამიებელია ასევე პასუხისმგებელი ანგარიშით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე.

ამ საკითხის თაობაზე, განხილვაზე, კანონპროექტის ავტორთა მიერ მოცემული იქნა განმარტება, რომ კანონპროექტით, ზოგადად, იზრდება კონსულტანტის პასუხისმგებლობა გზშ ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორესა და ხარისხზე. ამისათვის, ამავე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტში მოცემულია „კონსულტანტის“ განმარტება, სადაც ჩამოთვლილია გარკვეული საკვალიფიკაციო მოთხოვნები კონსულტანტისადმი; ასევე, მე-10 მუხლი მე-2 პუნქტში მოთხოვნილია, რომ გზშ ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირების მიერ, რომლებიც მონაწილეობდნენ ანგარიშის მომზადებაში.

კონსულტანტის პასუხისმგებლობის გაზრდის საკითხი, რა თქმა უნდა, მისაღები და მისასაღმებელია; თუმცა, ვფიქრობთ, ეს რამოდენიმე ჩანაწერი არ ასახავს სათანადოდ კანონპროექტის ავტორთა მიზნებს. სასურველია, რომ „კონსულტანტის“ საკითხს დაეთმოს ცალკე მუხლი კანონპროექტში და ამ მუხლში ნათლად ჩამოყალიბდეს ყველა მოთხოვნა, მათ შორის, დადგინდეს იქნეს მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფი მექანიზმები (მაგ., რა შეიძლება მოჰყვეს არასწორი ინფორმაციის წარდგენას? როგორ ნაწილდება პასუხისმგებლობა ინფორმაციის სისწორეზე ნებართვის მამიებელსა და კონსულტანტს შორის). ამ მუხლშივე შეიძლება მიეთითოს მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების შესასრულებლად საჭირო კანონქვემდებარე აქტის მიღების ვალდებულება (ანალოგიურად - გარდამავალ დებულებებში, მისაღები აქტების სიაში, მოხსენიებულ იქნეს ეს აქტი).

2.4 „მ“ ქვეპუნქტი („მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება“) და მასთან დაკავშირებული ყველა დებულება ამოღებულ უნდა იქნეს კანონპროექტიდან. განმარტებისთვის იხ. ზემოთ „ზოგადი, პრინციპული ხასიათის შენიშვნები და წინადადებები“, პუნქტი 6.

2.5 „უ“ ქვეპუნქტი - „საქმიანობის“ განმარტება - მოითხოვს ძირეულ გადამუშავებას. მაგალითისთვის, გაუგებარია: რა იგულისხმება „სამონტაჟო და სქემატურ სამუშაოებში“? რატომ არის ყურადღება გამახვილებული „საქმიანობის“ განმარტებაში მინერალური რესურსების მოპოვებაზე? ლანდშაფტზე ზემოქმედებაზე?

თავი II. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის პროცედურა

მუხლი 4. ზოგადი დებულებები

1. გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ექვემდებარება ამ კოდექსის პირველი დანართით გათვალისწინებული საქმიანობები და მე-2 დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობები, რომლებიც ამ კოდექსის მე-6 მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზმ-ს.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ნებართვის მიღების შემდგომ. იმ შემთხვევაში, თუ მოქმედი კანონმდებლობით საქმიანობის განხორციელებისათვის საჭიროა სხვა სახის ლიცენზია ან/და ნებართვა, აღნიშნული ლიცენზია ან/და ნებართვა შესაძლებელია გაიცეს მხოლოდ გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების შემდგომ. სხვა ლიცენზიით ან/და ნებართვით არ შეიძლება დადგინდეს გარემოსდაცვითი ნებართვისგან განსხვავებული სალიცენზიო/სანებართვო პირობები.

...

შენიშვნა / წინადადება 3:

3.1 პირველ პუნქტთან დაკავშირებით იხილეთ ზემოთ „ზოგადი, პრინციპული ხასიათის შენიშვნები და წინადადებები“, პუნქტი 3 (ა).

3.2 მე-2 პუნქტში მოცემული წინადადებები სასურველია გაიყოს და ჩამოყალიბდეს ორ დამოუკიდებელ დებულებად (პირველი წინადადება - ცალკე, მე-2 და მე-3 წინადადებები - ცალკე დებულებად).

3.3 მე-2 პუნქტის პირველ წინადადებაში სასურველია, უფრო გარკვევით ჩამოყალიბდეს, რომ „ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე აკრძალულია“.

3.4 არ არის ნათელი, რა იგულისხმება მე-2 პუნქტის მე-3 წინადადებაში - „სხვა ლიცენზიით ან/და ნებართვით არ შეიძლება დადგინდეს გარემოსდაცვითი ნებართვისგან განსხვავებული სალიცენზიო/სანებართვო პირობები.“.

მაგალითისთვის: მშენებლობის ნებართვით დადგენილი პირობები ნებისმიერ შემთხვევაში იქნება გარემოსდაცვითი ნებართვის პირობებისგან განსხვავებული. ამავდროულად, მშენებლობის ნებართვის პირობები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს გარემოსდაცვითი ნებართვის პირობებს; სხვა სიტყვებით - მშენებლობის ნებართვის პირობების შესრულება არ შეიძლება იწვევდეს გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების შეუსრულებლობას; ისეთი ვითარების შექმნას, როდესაც გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების შესრულებლობა შეუძლებელი გახდება. რა იგულისხმება „განსხვავებულობაში“? - „წინააღმდეგობა“?

მუხლი 6. სკრინინგი

...

2. ნებართვის მაძიებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე სამინისტროს წარუდგინოს სკრინინგის განცხადება დაგეგმილი საქმიანობის შესახებ და მიიღოს სამინისტროსგან გადაწყვეტილება, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზმ-ს.

...

4. სამინისტრო სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზმ-ს შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

ა) საქმიანობის მახასიათებლები:

ა.ა) საქმიანობის მასშტაბი;
ა.ბ) კუმულაციური ზემოქმედება;
ა.გ) ბუნებრივი რესურსების გამოყენება;
ა.დ) ნარჩენების წარმოქმნა;
ა.ე) გარემოს დაბინძურება;
ა.ვ) გამოსაყენებელი ნივთიერებების ან ტექნოლოგიების შედეგად გამოწვეული ავარიების რისკი.
ბ) საქმიანობის ადგილმდებარეობა:
ბ.ა) მიწათსარგებლობის ფორმა;
ბ.ბ) ბუნებრივი რესურსების განაწილება მისი ხარისხისა და აღდგენის უნარის გათვალისწინებით;
ბ.გ) ბუნებრივი გარემოს შემდეგი კომპონენტების გამოყენების მასშტაბი:
ბ.გ.ა) ჭარბტენიანი ტერიტორიები;
ბ.გ.ბ) სანაპირო ზოლი;
ბ.გ.გ) მთიანი და ტყით დაფარული ტერიტორიები;
ბ.გ.დ) დაცული ტერიტორიები;
ბ.გ.ე) ის ტერიტორიები, სადაც კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოს დაცვის ნორმები უკვე დარღვეულია;
ბ.გ.ვ) მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიები;
ბ.გ.ზ) ისტორიული, კულტურული და არქეოლოგიური მნიშვნელობის ლანდშაფტები;
გ) საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:
გ.ა) ზემოქმედებას დაქვემდებარებული ტერიტორიის გეოგრაფიული არეალი და მოსახლეობის რაოდენობა;
გ.ბ) ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;
გ.გ) ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა;
გ.დ) ზემოქმედების ალბათობა;
გ.ე) ზემოქმედების ხანგრძლივობა, სიხშირე და შეუქცევადობა.
...
6. სკრინინგის პროცედურის დასრულებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, სამინისტრო უზრუნველყოფს სკრინინგის განცხადებისა და სამინისტროს გადაწყვეტილების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას ამ კოდექსის მე-4 თავით დადგენილი წესის შესაბამისად.

შენიშვნა / წინადადება 4:

4.1 მე-2 პუნქტში მოცემული: „სამინისტროს გადაწყვეტილება, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს“ - ამ საკითხთან დაკავშირებით, იხილეთ ზემოთ „ზოგადი, პრინციპული ხასიათის შენიშვნები და წინადადებები“, პუნქტი 3.

4.2 მისასალმებელია, რომ მე-6 მუხლის მე-4 პუნქტში ნათლად ჩამოყალიბებული სკრინინგის კრიტერიუმები. ამასთან, აუცილებლად მიგვაჩნია კრიტერიუმები დაიხვეწოს და დაემატოს ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებული სპეციალური მოთხოვნები. ამ საკითხთან დაკავშირებით, იხილეთ ზემოთ „ზოგადი, პრინციპული ხასიათის შენიშვნები და წინადადებები“, პუნქტი 3 (გ).

4.3 მე-6 პუნქტი გათვალისწინებული, ინფორმაციის გამოქვეყნებისთვის დადგენილი 5-დღიანი ვადა გადამეტებულად მიგვაჩნია. ამ საკითხზე დამატებით იხილეთ ზემოთ „ზოგადი, პრინციპული ხასიათის შენიშვნები და წინადადებები“, პუნქტი 7(გ).

მუხლი 9. სკოპინგის დასკვნის გაცემა

...
4. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის მიზნით, სამინისტრო უზრუნველყოფს საჯარო განხილვის მოწყობას სამინისტროს მიერ სკოპინგის განცხადების ამ კოდექსის მე-7 მუხლის მე-4

ნაწილის შესაბამისად გამოქვეყნებიდან მე-10 (მეათე) სამუშაო დღეს. საჯარო განხილვის ორგანიზებასთან, მათ შორის, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს სამინისტრო. საჯარო განხილვას უძღვება სამინისტროს წარმომადგენელი. ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვის ჩატარებამდე არანაკლებ 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე, ამ კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად. საჯარო განხილვა ტარდება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე ადმინისტრაციული ორგანოს შენობაში. საჯარო განხილვა ღიაა და საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მასში.

- ...
6. სამინისტრო, სკოპინგის დასკვნის დამტკიცებამდე, უზრუნველყოფს კონსულტაციებს ჯანდაცვის სამინისტროსთან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ან/და დაწესებულებებთან.
 7. სამინისტროს მიერ დამტკიცებული სკოპინგის დასკვნა შესასრულებლად სავალდებულოა ნებართვის მაძიებლისათვის გზშ-ს ანგარიშის მომზადების დროს.

შენიშვნა / წინადადება 5:

5.1 მე-4 პუნქტი მოიცავს რამოდენიმე დებულებას, რომელიც სასურველია დაიყოს, ჩამოყალიბდეს ცალკეულ პუნქტებად.

5.2 მე-4 პუნქტი - „საჯარო განხილვა ტარდება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე ადმინისტრაციული ორგანოს შენობაში“ - ამ საკითხთან დაკავშირებით, იხილეთ ზემოთ „ზოგადი, პრინციპული ხასიათის შენიშვნები და წინადადებები“, პუნქტი 7.

5.3 მე-6 პუნქტში, აუცილებელ მოთხოვნადაა მოცემული ჯანდაცვის სამინისტროსთან კონსულტაციების ჩატარება სკოპინგის დასკვნის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებისას; ანალოგიურად, მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში, ჯანდაცვის სამინისტროსთან კონსულტაცია აუცილებელი მოთხოვნაა გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

ჯანდაცვის სამინისტროსთან სავალდებულო კონსულტაცია ძალზე ლოგიკურია და მისასაღმებელიც. ამასთან, აუცილებლად მიგვაჩნია, დაემატოს მსგავსი - **სავალდებულო კონსულტაციის - მოთხოვნა იმ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, სადაც იგეგმება საქმიანობა**. თვითმმართველობის ორგანოები, როგორც წესი, ფლობენ დეტალურ (ნებისმიერ შემთხვევაში, ცენტრალურ ორგანოებზე მეტ) ინფორმაციას საქმიანობის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ტერიტორიის შესახებ, ასევე, ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობისა და დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული შესაძლო პრობლემური საკითხების შესახებ; ამ ორგანოებს, ასევე, შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ სხვა პროექტებთან კუმულაციური ზეგავლენის დადგენაში. **საერთო ჯამში, მათ სავალდებულო ჩართულობას დადებითი შედეგები მოჰყვება პრობლემური საკითხების დროულად, ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირების საქმეში.**

5.4 მე-7 პუნქტში ნათქვამია, რომ სკოპინგის დასკვნა შესასრულებლად სავალდებულოა ნებართვის მაძიებლისთვის. ვეთანხმებით, კანონპროექტის ავტორებს, რომ ნებართვის მაძიებელმა ზედმიწევნით უნდა შეასრულოს სკოპინგის დასკვნის პირობები; თუმცა, არ უნდა გამოირიცხოს შემდეგი ვითარებები: გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებისას ნებართვის მაძიებელმა შესაძლოა, გამოავლინოს ზემოქმედების ისეთი ფაქტორები და სახეები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული სკოპინგის ეტაპზე და არაა ასახული სკოპინგის დასკვნაში; ასევე, შესაძლოა ზოგიერთი ზეგავლენა უმნიშვნელო აღმოჩნდეს და რესურსის დახარჯვა მის შესწავლაზე, არამიზანშეწონილი იყოს.

სხვა სიტყვებით, სკოპინგის დასკვნა შესასრულებლად სავალდებულო უნდა იყოს, მაგრამ არ უნდა გამოირიცხოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებისას სკოპინგით დადგენილი პირობების ცვლილების შესაძლებლობა, ახალადმოჩენილ გარემოებათა გამო. ასეთი შესაძლებლობის დაშვებისას, მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი ასეთი ცვლილება, სკოპინგის დასკვნის პირობებიდან ‘გადახვევა’, იყოს დეტალურად დასაბუთებული.

მე-7 პუნქტთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია კიდევ ერთი რამ: ვინაიდან სკოპინგის დასკვნა შესასრულებლად სავალდებულოა, ამ ვალდებულების შეუსრულებლობას უნდა მოჰყვეს გარკვეული აღსრულების მექანიზმი. გაუგებარია, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მაძიებელმა არ შეასრულა სკოპინგის დასკვნის პირობები?! ან ნაწილობრივ შეასრულა?!

<p>მუხლი 10. გზშ-ს ანგარიში</p> <p>1. სამინისტროს მიერ სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შემდეგ ნებართვის მაძიებელი ან/და კონსულტანტი უზრუნველყოფს გზშ-ს ანგარიშის მომზადებას. გზშ-ს ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებას უზრუნველყოფს ნებართვის მაძიებელი.</p> <p>2. გზშ-ს ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირ(ებ)ის მიერ, ვინც მონაწილეობდა მის მომზადებაში და უნდა მოიცავდეს:</p> <p>ა) დაგეგმილი საქმიანობის აღწერას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას საქმიანობის განხორციელების მოცულობის და საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საჭირო მახასიათებლების შესახებ, კერძოდ:</p> <p>ა.ა) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობის აღწერასა და აღნიშნული ტერიტორიის GIS კოორდინატებს (shape ფაილთან ერთად).</p> <p>ა.ბ) დაგეგმილი საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების აღწერას, მათ შორის, დემონტაჟისათვის საჭირო სამუშაოების ჩამონათვალს (საჭიროების შემთხვევაში), მიწათსარგებლობის მოთხოვნებს მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე;</p> <p>ა.გ) საქმიანობის ექსპლუატაციისას საჭირო მახასიათებლების აღწერას (განსაკუთრებით, პროდუქციის წარმოების შემთხვევაში), როგორცაა, გამოსაყენებელი ენერჯის რაოდენობა, გამოსაყენებელი მასალისა და ბუნებრივი რესურსების (მათ შორის, წყალი, მიწა, ნიადაგი და ბიომრავალფეროვნება) სახეებსა და რაოდენობას;</p> <p>ა.დ) მოსალოდნელი უარყოფითი შედეგებისა და ემისიების სახეებსა და რაოდენობას (როგორცაა, წყლის, ჰაერის, ნიადაგის და მიწის დაბინძურება, ხმაური, ვიბრაცია, რადიაცია);</p> <p>ა.ე) მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე წარმოსაქმნელი ნარჩენების სახეებსა და რაოდენობას.</p> <p>ბ) დაგეგმილი საქმიანობის ადგილის, ტექნოლოგიის და არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივებს, კერძოდ:</p> <p>ბ.ა) ნებართვის მაძიებლის მიერ შემოთავაზებულ და სხვა გონივრულ ალტერნატივებს;</p> <p>ბ.ბ) გარემოს დაცვის კუთხით ყველაზე გონივრულ ალტერნატივას, შესაბამისი დასაბუთებით;</p> <p>გ) დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესის აღწერას, მათ შორის, დანადგარების წარმადობის შესახებ ინფორმაციას;</p> <p>დ) დაგეგმილი საქმიანობისათვის გარემოს არსებული მდგომარეობის მნიშვნელოვანი კომპონენტების აღწერას (საბაზისო მონაცემები) და საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია ხელმისაწვდომ ინფორმაციასა და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით;</p> <p>ე) საქმიანობის შედეგად გარემოზე შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებული ფაქტორების აღწერას, კერძოდ, მოსახლეობა, ადამიანის ჯანმრთელობა, ბიომრავალფეროვნება (მათ შორის, ფლორა და ფაუნა), მიწა (მათ შორის, მიწის მოხსნა), ნიადაგი (მათ შორის, ორგანული ნაერთები, ეროზია, კომპოსტირება, დეგრადირება), წყალი (მათ შორის, ჰიდრომორფოლოგიური ცვლილებები, რაოდენობა და ხარისხი), ჰაერი, კლიმატი (მათ შორის, სათბური გაზების ემისია), მატერიალური ფასეულობები, კულტურული მემკვიდრეობა (მათ შორის, არქიტექტურული და არქეოლოგიური ასპექტები) და ლანდშაფტი;</p> <p>ვ) ამ კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ფაქტორებზე საქმიანობის განხორციელებით გამოწვეულპირდაპირ და არაპირდაპირ, მეორად, კუმულაციურ, ტრანსსასაზღვრო, მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან, მუდმივ და დროებით, პოზიტიურ და ნეგატიურ</p>
--

შესაძლო ზემოქმედების აღწერას, რაც გამოწვეულია:

- ვ.ა) სამშენებლო სამუშაოებითა და დაგეგმილი საქმიანობით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სადემონტაჟო სამუშაოებით;
- ვ.ბ) ბუნებრივი რესურსების გამოყენებით (განსაკუთრებით მიწა, ნიადაგი, წყალი და ბიომრავალფეროვნება, აღნიშნული რესურსების მდგრადი ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით);
- ვ.გ) დამაბინძურებელი ფაქტორების ემისიით, ხმაურით, ვიბრაციით, რადიაციით, და ნარჩენების განთავსებითა და აღდგენით;
- ვ.დ) ადამიანის ჯანმრთელობაზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე ან გარემოზე რისკებით (მაგალითად, ავარიების ან კატასტროფების შემთხვევაში);
- ვ.ე) სხვა არსებული ან დაგეგმილი საქმიანობის კუმულაციური ზემოქმედებით;
- ვ.ვ) კლიმატზე საქმიანობის ზემოქმედებით და კლიმატის ცვლილებაზე საქმიანობის მოწყვლადობით;
- ვ.ზ) გამოყენებული ტექნოლოგიებითა და ნივთიერებებით.

ზ) დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების ან/და მისაღები ზომების აღწერას, რომელიც მიზნად ისახავს გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შედეგების თავიდან აცილებას, პრევენციას, შემცირებას და შესაძლებლობის შემთხვევაში, კომპენსირებას. აღწერის დროს ასახული უნდა იყოს, როგორც საქმიანობის განხორციელების, ასევე, შემდგომი ექსპლუატაციის ეტაპები;

- თ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად შესაძლო ინციდენტების განსაზღვრასა და მისი შედეგების შეფასებას;
- ი) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერას, რაც გამოწვეულია საქმიანობის მოწყვლადობით ავარიებისა და კატასტროფების რისკების მიმართ;
- კ) საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს აღდგენის გზებსა და საშუალებებს;
- ლ) სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და მოსაზრებების შეფასებას;
- მ) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების ანალიზს (შმენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე);
- ნ) გამოყენებულ მეთოდებსა და დაშვებებს, ასევე გარემოს შესახებ ინფორმაციის წყაროებზე პირდაპირ და ზუსტ მითითებას;
- ო) საჭირო ინფორმაციის შეგროვების დროს იდენტიფიცირებულ უზუსტობებსა და ცოდნის ნაკლებობაზე მითითებას;
- პ) ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“-„ო“ ქვეპუნქტებში მოცემული ინფორმაციის მოკლე არა-ტექნიკურ რეზიუმეს, საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;
- ჟ) გზმ-ს ანგარიშის მომზადების პროცესში გამოყენებული წყაროების დეტალურ სიას.

3. გზმ-ს ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს:

- ა) სხვადასხვა დაინტერესებულ პირთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლებიც აუცილებელია საქმიანობის განხორციელების სხვადასხვა ეტაპისათვის;
- ბ) გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა;
- გ) ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით გადაუდებელი რეაგირების სამოქმედო გეგმა;
- დ) იმ კონსულტანტის დასახელება და იურიდიული მისამართი, რომელიც მონაწილეობდა გზმ-ს ანგარიშის მომზადების პროცესში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ე) საქმიანობის მიზნის და მისი განხორციელების აუცილებლობის დასაბუთების მოკლე აღწერა;
- ვ) საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობის გენერალური გეგმა, სადაც მოცემული იქნება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი, დროებითი ნაგებობები, კომუნალური სისტემები და ზემოქმედების გამომწვევი კომპონენტები;
- ზ) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები.

შენიშვნა / წინადადება 6:

6.1 მე-2 პუნქტის შესავალი ნაწილი ორი დამოუკიდებელი დებულებისგან შედგება და რატომღაც გაერთიანებულია ერთ პუნქტად. ეს დებულება სასურველია გაიყოს ორ პუნქტად შემდეგნაირად: ერთი პუნქტი - „გზშ-ს ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირ(ებ)ის მიერ, ვინც მონაწილეობდა მის მომზადებაში“ და მეორე: „ გზშ ანგარიში უნდა მოიცავდეს:...“.

ამასთან, მე-2 პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის შემდეგ, სასურველია „რ“ ქვეპუნქტად დაემატოს მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი და ამასთანავე, აქვე დაემატოს მე-2 პუნქტის შესავალი ნაწილის პირველი წინადადება (ხელმოწერის შესახებ) შესაბამის მოდიფიკაციით.

6.2 მე-3 პუნქტის ქვეპუნქტები შინაარსობრივად ხშირად იმეორებენ მე-2 პუნქტის ქვეპუნქტებს და თუ არ იმეორებენ, მაინც შეიძლება მათი ლოგიკურად ინტეგრირება მე-2 პუნქტში. ეს განსაკუთრებით ეხება მე-3 პუნქტის „ბ-ვ“ ქვეპუნქტებს.

მუხლი 11. ნებართვის მოთხოვნა

...

2. ნებართვის მაძიებელის მიერ წარდგენილ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები (ინფორმაცია):

ა) ამ კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად მომზადებული გზშ-ს ანგარიში (3 ნაბეჭდი და ელექტრონული ეგზემპლარი);

...

შენიშვნა / წინადადება 7:

მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მოთხოვნილია გზშ ანგარიშის 3 ნაბეჭდი და ელექტრონული ეგზემპლარის წარდგენა. ეს მოთხოვნა აბსოლუტურად დაუსაბუთებელია, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ელექტრონული საქმისწარმოების მასშტაბები სულ უფრო ფართოვდება. ჩვენი აზრით, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ ერთი ნაბეჭდი და ელექტრონული ეგზემპლარი (ნაბეჭდი - იმ შემთხვევისთვის, რომ გადამოწმდეს ელექტრონულის სისწორე, საჭიროების შემთხვევაში).

მუხლი 12. ნებართვის გაცემის პროცედურა

....

4. ამ კოდექსის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი წესით განცხადების გამოქვეყნებიდან 30-ე (ოცდამათე) სამუშაო დღეს სამინისტრო უზრუნველყოფს გზშ-ის ანგარიშზე საჯარო განხილვის მოწყობას. საჯარო განხილვის ორგანიზებასთან, მათ შორის, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს სამინისტრო. საჯარო განხილვას უძღვება სამინისტროს წარმომადგენელი. ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვის ჩატარებამდე არანაკლებ 30 (ოცდაათი) სამუშაო დღით ადრე, ამ კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად. საჯარო განხილვა ტარდება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე ადმინისტრაციული ორგანოს შენობაში. საჯარო განხილვა ღიაა და საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მასში.

....

8. ნებართვის გაცემის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სამინისტრო უფლებამოსილია გააგრძელოს საზოგადოების მიერ მოსაზრებებისა და შენიშვნების წარმოდგენის ვადა. ასეთ შემთხვევაში, სამინისტრო უზრუნველყოფს ვადის გაგრძელების შესახებ

გადაწყვეტილების საჯაროობას იმავე საშუალებებით, როგორც განხორციელდა თავდაპირველი განცხადებისა და დოკუმენტაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

...

11. ნებართვა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით. იმ შემთხვევაში თუ ნებართვის მფლობელი 5 წლის ვადაში არ დაიწყებს ნებართვით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას, ნებართვა კარგავს ძალას.

12. სამინისტრო საკუთარი ინიციატივით, უფლებამოსილია განახორციელოს სანებართვო პირობების გადასინჯვა, შემდეგ შემთხვევებში:

ა) ნებართვის გაცემის შემდეგ შეიცვალა საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული გარემო, რაც აუცილებელს ხდის სანებართვოს პირობების შეცვლას;

ბ) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ტექნოლოგია განვითარდა, რაც შესაძლებელს ხდის სანებართვოს პირობების შეცვლას;

გ) კანონმდებლობით დადგინდა ახალი მოთხოვნები, რაც აუცილებელს ხდის სანებართვო პირობების შეცვლას.

დ) ამ კოდექსის მე-17 მუხლით განსაზღვრული პროექტის შემდგომი ანალიზის საფუძველზე, დადგინდება სანებართვო პირობების გადასინჯვის მიზანშეწონილობა.

13. სანებართვო პირობების გადასინჯვის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს 1 (ერთი) თვის ვადაში, რომლის განმავლობაში სამინისტრო უზრუნველყოფს შემდეგი პროცედურების ჩატარებას:

ა) სანებართვოს პირობების გადასინჯვის პროცედურის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას ამ კოდექსის მე-4 თავით დადგენილი საშუალებებითა და წესით;

ბ) საჯარო განხილვის ჩატარება. საჯარო განხილვის შესახებ საზოგადოების ინფორმირების უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე;

გ) ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება. ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება უნდა განხორციელდეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

დ) სანებართვოს პირობების გადასინჯვის შესახებ ბრძანების დამტკიცება. აღნიშნული ბრძანება უნდა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე ბრძანების დამტკიცებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

შენიშვნა / წინადადება 8:

8.1 ვფიქრობთ, არ არის გამართლებული მე-4 პუნქტში საჯარო განხილვის ჩატარების დღის ხისტად დადგენა - „განცხადების გამოქვეყნებიდან 30-ე (ოცდამეათე) სამუშაო დღე“.

პრაქტიკაში, განხილვის დღის ხისტად გასაზღვრას შესაძლოა, მოჰყვეს გარკვეული სირთულეები, სხვადასხვა გარემოებების გამო; მაგალითად, 30-ე დღე შეიძლება დაემთხვეს რაიმე რელიგიურ დღესასწაულს და ადამიანებმა, რომლებიც სხვა შემთხვევაში, მონაწილეობას მიიღებდნენ შეხვედრაში, ვერ შეძლონ მონაწილეობა.

სახელმწიფოს/საჯარო განხილვის მომწყობი უწყების ინტერესი უნდა იყოს, სხვადასხვა მხარისგან მიიღოს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის პოტენციური შედეგების შესახებ და ამისათვის, მან უნდა უზრუნველყოს საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა, ყველა შესაძლო საშუალებით. ამდენად, უპრიანი იქნებოდა, საჯარო განხილვის მოწყობისთვის, დადგენდეს გარკვეული დროითი შუალედი (მაგ., არაუადრეს 30-ე და არაუგვიანეს... დღისა).

8.2 საჯარო განხილვის ადგილთან დაკავშირებული შენიშვნისთვის იხილეთ ზემოთ „ზოგადი, პრინციპული ხასიათის შენიშვნები და წინადადებები“, პუნქტი 7.

8.3 მე-8 პუნქტში აღწერილია ნებართვის გაცემის ვადის გაგრძელების შემთხვევაში, საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები.

ჩვენი აზრით, ამ პუნქტში, სიტყვა „უფლებამოსილია“ უნდა ჩანაცვლდეს სიტყვით „ვალდებულია“ - ანუ, სამინისტრო უნდა იყო არათუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებული, გააგრძელოს საზოგადოების მიერ მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის ვადა.

ამასთან, მნიშვნელოვანია დადგინდეს თანაფარდობა ნებართვის გაცემის გაგრძელებულ ვადასა და საზოგადოების შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის გაგრძელებულ ვადას შორის. სხვა სიტყვებით, თუ მაგალითად, ნებართვის გაცემის ვადა გაგრძელდა ორი თვით, საზოგადოების შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის ვადაც უნდა გაიზარდოს შესაფერისად, მაგალითად, ნებართვის გაცემის გაგრძელებული ვადის 2/3-ით (ან რაიმე სხვა, გონივრული თანაფარდობით).

8.4 მე-11 და მე-12 პუნქტებთან დაკავშირებით: მე-12 პუნქტში მოცემული, ნებართვის პირობების გადახედვის შესაძლებლობის დაშვება, ჩვენთვის მისაღებია და მისასაღმებელიც, ვინაიდან ვფიქრობთ, რომ ასეთი დაშვება სასარგებლო (გარემოს დაცვის) მიზანს ემსახურება; თუმცა, ანგარიშგასაწევია ასევე კანონპროექტის განხილვაზე გამოთქმული მოსაზრება, რომ ნებართვის პირობების გადასინჯვა შესაძლოა არასამართლიანი იყო მეწარმეების მიმართ. ეს სწორიცაა, ვინაიდან ნებართვის პირობების ცვლილებამ (განსაკუთრებით, თუ ეს დაკავშირებული ტექნოლოგიის შეცვლასთან) შეიძლება გამოიწვიოს დანახარჯების ზრდა, რისთვისაც მეწარმე შესაძლოა, არ აღმოჩნდეს მზად.

ასეთი შესაძლო კონფლიქტური ვითარების თავიდან აცილება, ვფიქრობთ, შესაძლებელი იქნება, თუ ნებართვა გაიცემა არა განუსაზღვრელი ვადით (როგორც ეს მოცემულია მე-11 პუნქტში), არამედ განსაზღვრული ვადით (მაგ., 10, 15 ან 20 წლით). ამ შემთხვევაში, მეწარმისთვის უკვე ნათელი იქნება, რომ ნებართვის ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ ის გეგმავს საქმიანობის გაგრძელებას, მას შესაძლოა დაუდგინდეს სხვა სანებართვო პირობები, მე-12 მუხლის „ა-დ“ პირობების არსებობისას. ასეთ პროგნოზირებად ცვლილებებს ის უკვე მომზადებული შეხვედბა.

ნებართვის განსაზღვრული ვადით გაცემის შემთხვევაში, შესაძლოა კანონით დადგინდეს: ნებართვის მინიმალური და მაქსიმალური ვადები (და ზუსტი ვადა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში), ან ვადების გრადაცია მოხდეს საქმიანობების სახეების მიხედვით; შესაძლოა, ასევე, დადგინდეს ხისტი ვადა ყველა სახის საქმიანობისთვის. ეს საკითხი შესაძლოა საბოლოოდ შეთანხმდეს სხვადასხვა ვარიანტებზე მსჯელობის საფუძველზე.

ორივე - ნებართვის უვადოდ ან გარკვეული ვადით გაცემის შემთხვევაში - დგება საკითხი, თუ როგორ დარეგულირდება საკითხი კანონის ამოქმედებამდე უკვე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვების (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების) შემთხვევაში.

8.5 მე-13 პუნქტი ზერელეა და საჭიროებს დახვეწა-დეტალიზაციას.

8.6 კანონპროექტით არ რეგულირდება (და შესაბამისად, უნდა დარეგულირდეს) ნებართვის გაუქმების საკითხი (გარკვეულწილად ეს საკითხი რეგულირდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონით) და გაუქმების შემდგომი ეტაპები (მაგალითად, გარემოს საწყის მდგომარეობამდე აღდგენის ვალდებულება და სხვ.).

მუხლი 13. ნებართვის შინაარსი

1. ნებართვა უნდა მოიცავდეს:

ა) საქმიანობის განხორციელების ადგილსა და სახეს;

ბ) საქმიანობის განხორციელებისა და შემდგომი ექსპლუატაციის სხვადასხვა ეტაპზე ტერიტორიის გამოყენების ისეთ პირობებს, რომელიც გაითვალისწინებს სპეციალური ბუნებრივი ფასეულობების, ბუნებრივი რესურსების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საჭიროებას და მიმართული იქნება საქმიანობის განხორციელების მიმდებარე ტერიტორიაზე ხელისშემშლელი

გარემოებების შემცირებისკენ.

გ) ინფორმაციას გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ლიცენზიის ან ნებართვის გაცემის დროს.

დ) ნებართვის პირობებს რომელთა შესრულება სავალდებულოა, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის პერიოდში.

2. ამ მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ინფორმაციის გარდა, ნებართვა შესაძლებელია მოიცავდეს:

ა) მოთხოვნებსაწარმოო ავარიების შედეგად ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის...;

ბ) საქმიანობის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციის, შემცირებისა და მონიტორინგის ვალდებულებებს;

გ) საქმიანობის შემდგომი ანალიზის ვალდებულებების შესრულების მიზანსა და დროს.

3. იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდა გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებასთან დაკავშირებით ამ კოდექსის მე-5 თავით დადგენილი პროცედურა, ნებართვა უნდა მოიცავდეს აღნიშნული პროცედურის შედეგებს.

4. სამინისტრო ვალდებულია ნებართვის გაცემის შესახებ დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში ასახოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების ჩატარებისა დაწარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების გათვალისწინების შესახებ;

ბ) ამ კოდექსის მე-6 თავით გათვალისწინებული ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინების შესახებ;

გ) გზმ-ის ანგარიშში მოცემული დასკვნების გათვალისწინების შესახებ;

შენიშვნა / წინადადება 9:

ეს მუხლი, მთლიანად, მნიშვნელოვან დახვეწას მოითხოვს; მაგალითად:

9.1 პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ბუნდოვანია და საჭიროებს ნათლად ჩამოყალიბებას.

9.2 მე-2 პუნქტი მთლიანად გაუგებარია. აქ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ საკითხებს, წესით, უნდა მოიცავდეს გზმ ანგარიში და მაშინ გაუგებარია, რა „შესაძლო“ პირობებზეა საუბარი?

9.3 მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში სიტყვის „გათვალისწინების“ შემდეგ, სასურველია დამატოს სიტყვები „ან/და გაუთვალისწინებლობის“.

9.4 მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი გაუგებარია - რა დასკვნების გათვალისწინებაზეა საუბარი?!

მუხლი 17. საქმიანობის შემდგომი ანალიზი

1. საქმიანობის შემდგომი ანალიზი მოიცავს:

ა) ნებართვით დადგენილი პირობების და შემარბილებელი ღონისძიებების მონიტორინგს;

ბ) საქმიანობის განხორციელების შედეგად გარემოზე ზემოქმედების ანალიზს;

გ) გზმ-ის ანგარიშით გათვალისწინებული გარემოს მახასიათებლების ცვლილებების პროგნოზის შეფასებას.

2. ნებართვის მფლობელი საქმიანობის შემდგომი ანალიზის შედეგებს სამინისტროს წარუდგენს ნებართვით გათვალისწინებულ ვადებში.

3. სამინისტრომ საქმიანობის შემდგომი ანალიზის შედეგები უნდა განათავსოს სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დოკუმენტის მიღებიდან 5 (ხუთ) სამუშაო დღის ვადაში.

შენიშვნა / წინადადება 10:

ამ მუხლით დარეგულირებული გზშ სისტემის ეტაპი (ნებართვის გაცემის შემდგომი ეტაპი) საჭიროებს უფრო მეტ დეტალიზაციას. მაგალითად, არ არის ნათელი და შესაბამისად უნდა განიმარტოს:

- მუხლის დასაწყისში ან კანონპროექტის მე-3 მუხლში (ტერმინთა განმარტებაში) - რა არის „საქმიანობის შემდგომი ანალიზი“ და რა მიზანს ემსახურება;
- ვინ ატარებს მას? როდის და რა ფორმით?
- რატომ მხოლოდ „შემარბილებელი ღონისძიებების“? ან მხოლოდ „ნებართვით დადგენილი პირობების“ („ა“ ქვეპუნქტი)?
- „ცვლილებების პროგნოზის“ თუ „პროგნოზირებული ცვლილებების“ („გ“ ქვეპუნქტი)?
- უნდა ხდებოდეს, თუ არა „საქმიანობის შემდგომი ანალიზის შედეგების“ მუდმივი აღრიცხვა და შემდეგ ანგარიშგება დადგენილი სტანდარტული ფორმის მიხედვით (ეს დაეხმარებოდა როგორც მეწარმეს, ისე მაკონტროლებელ ორგანოს)?
- რატომ „ნებართვით გათვალისწინებულ ვადებში“ და არა ამავე კანონით დადგენილი პერიოდულობით?
- როგორ იყენებს სამინისტრო ნებართვის მფლობელების მიერ წარდგენილ საქმიანობის შემდგომი ანალიზის შედეგებს? აგროვებს და ინახავს, თუ იყენებს მაკონტროლებელი ფუნქციების განსახორციელებლად? მხედველობაში იღებს კონკრეტულ არეალში სხვა საქმიანობებზე ნებართვების გაცემაზე გადაწყვეტილებების მიღებისას?

თავი III. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება

მუხლი 20. სგშ-ს დაქვემდებარებული სტრატეგიული დოკუმენტები

1. სგშ-ს ექვემდებარება ის სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც მომზადებული ან/და მიღებულია/დამტკიცებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და აღნიშნული დოკუმენტის მიღება/დამტკიცება სავალდებულოა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. სგშ-ს პროცედურის ჩატარება სავალდებულოა სტრატეგიული დოკუმენტისათვის, რომელიც ადგენს ჩარჩოს სამომავლოდ განსახორციელებელი იმ საქმიანობებისათვის, რომლებიც ექვემდებარება გზშ-ს ამ კოდექსის I და II დანართების შესაბამისად, აგრეთვე, შემდეგი სექტორებისათვის მომზადებული სტრატეგიული დოკუმენტებისათვის ან/და მათში შეტანილი ცვლილებებისათვის:

- ა) სოფლის მეურნეობა
- ბ) სატყეო მეურნეობა;
- გ) თევზჭერა;
- დ) ენერგეტიკა;
- ე) მრეწველობა;
- ვ) ტრანსპორტი;
- ზ) ნარჩენების მართვა;
- თ) წყლის მართვა;
- ი) ტელეკომუნიკაციები;
- კ) ტურიზმი;
- ლ) ქალაქთმშენებლობა ან/და მიწათსარგებლობა;
- მ) დაგეგმარება და სივრცითი მოწყობა;

3. არსებულ სტრატეგიულ დოკუმენტში მცირედი შესწორებები, სტრატეგიული დოკუმენტი რომელიც ეხება მცირე ტერიტორიას, სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც უდგენს ჩარჩოს სამომავლოდ განსახორციელებელ იმ საქმიანობებს, რომლებიც ამ კოდექსის II დანართის შესაბამისად არ ექვემდებარება გზშ-ს და არ ხვდება ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ სექტორებში ასევე ექვემდებარება სგშ-ს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც 23-ე მუხლით დადგენილი სკრინინგის

პროცედურის ჩატარების შედეგად დადგინდება რომ სტრატეგიული დოკუმენტი არ საჭიროებს სგშ-ს.

შენიშვნა / წინადადება 11:

11.1 მე-2 პუნქტის ჩამონათვალს სასურველია დაემატოს:

- თევზჭერა
- რეგიონული ან/და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების განვითარება
- ეკონომიკური განვითარება და სიღარიბის დაძლევა
- ბუნების კონსერვაცია
- მოსალოდნელი ბუნებრივი სტიქიური პროცესების უარყოფითი შედეგების პრევენციის ეროვნული ან/და რეგიონული პროგრამები
- „ე“ ქვეპუნქტში - მრეწველობა, მათ შორის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება

11.2 მე-3 პუნქტის ფორმულირება დასახვეწია. მაგალითად, პუნქტის ფორმულირება შეიძლება დაიწყოს შემდეგნაირად: „სგშ-ს ასევე ექვემდებარება:....“ და მიჰყვეს ჩამონათვალი და გამონაკლისი.

მუხლი 23. სკრინინგი

...

3. დამგეგმავი ორგანოს მიერ სამინისტროში და ჯანდაცვის სამინისტროში წარდგენილი სკრინინგის განცხადება, გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნებისა უნდა მოიცავდეს:

ა) მოკლე ინფორმაციას სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ;

ბ) მონაცემებს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალის, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების ხასიათისა და ზემოქმედებას დაქვემდებარებული მოსახლეობის თაობაზე.

...

5. სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციის სგშ-სადმი დაქვემდებარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი კრიტერიუმები:

...

ბ) ზემოქმედების ხასიათი და ზემოქმედებას დაქვემდებარებული ტერიტორიის მახასიათებლები, კერძოდ:

...

ბ.ვ) ზემოქმედებას დაქვემდებარებული ტერიტორიის ღირებულება და მოწყვლადობა, როგორცაა: სპეციალური ბუნებრივი მახასიათებლები ან კულტურული მემკვიდრეობა, გარემოსდაცვითი სტანდარტის დარღვევის ხარისხი, ასევე მიწით ინტენსიური სარგებლობა;

....

შენიშვნა / წინადადება 12:

12.1 მე-3 პუნქტში ხსენებული „განცხადება“ შეუძლებელია მოიცავდეს იმ მოცულობის ინფორმაციას, რომელიც ჩამოთვლილია პუნქტის დანართში. ეს ინფორმაცია შეიძლება თან ერთვოდეს განცხადებას.

12.2 მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მოცემული წინადადება - „მოკლე ინფორმაციას სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ“ - პრაქტიკულად, სტრატეგიული

დოკუმენტის კონცეფციის განმარტებაა. ამდენად, აქ შეიძლება უბრალოდ დაიწეროს, რომ განცხადებას თან უნდა ახლდეს კონცეფცია.

ამასთან, სგშ-სთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს არამარტო ღონისძიებების, არამედ სტრატეგიული დოკუმენტის მიზნებისა და ამოცანების ნათლად დეკლარირებას (ალტერნატივების შესწავლისას, უნდა გაანალიზდეს მიზნებისა და ამოცანების სხვადასხვა, ალტერნატიული გზებით მიღწევის შესაძლებლობები). ამდენად, „ა“ ქვეპუნქტი (ან კონცეფციის განმარტება - თუ გაზიარებული იქნება ზემოაღნიშნული შენიშვნა) უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „მოკლე ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნების, ამოცანებისა და ღონისძიებების შესახებ“.

12.3 „ბ.ვ) ზემოქმედებას დაქვემდებარებული ტერიტორიის ღირებულება...“ – „ღირებულება“ თუ „ფასულობა“?

<p>მუხლი 25. სკოპინგის განცხადება და სკოპინგის ანგარიში</p> <p>1. დამგეგმავი ორგანო შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე, მაგრამ არაუგვიანეს სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიის მომზადებისა, სკოპინგის ანგარიშის დამტკიცების მიზნით მიმართავს სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს სკოპინგის განცხადებით, რომელსაც თან ერთვის სკოპინგის ანგარიში და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია ან სამუშაო ვერსია. დამგეგმავი ორგანო უზრუნველყოფს აღნიშნული განცხადების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას ამ კოდექსის მე-4 თავით დადგენილი წესისა და საშუალებების გამოყენებით.</p> <p>2. სკოპინგის განცხადება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78–ე მუხლით დადგენილი ინფორმაციის გარდა უნდა მოიცავდეს:</p> <ul style="list-style-type: none">ა) ინფორმაციას დამგეგმავი ორგანოს შესახებ;ბ) მოკლე ინფორმაციას სტრატეგიული დოკუმენტის შესახებ;გ) ინფორმაციას გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების მასშტაბების შესახებ;დ) ინფორმაციას დაცულ ტერიტორიებზე შესაძლო ზემოქმედებისა და მისი მასშტაბის შესახებ;ე) ინფორმაციას გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ; <p>3. სკოპინგის განცხადება ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის ჩატარების სავარაუდო დროის, ადგილისა და წესების შესახებ, რომელსაც ამტკიცებს სამინისტრო.</p> <p>4. ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესის შესაბამისად წარდგენილი სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს:</p> <ul style="list-style-type: none">ა) სტრატეგიული დოკუმენტის აღწერას, მიზანსა და შესაძლო ალტერნატივებს მათ შორის არაქმედების ალტერნატივას;ბ) ინფორმაციას რამდენად უდგენს სტრატეგიული დოკუმენტი ჩარჩოს სამომავლო განსახორციელებელ საქმიანობებს მათი ადგილმდებარეობის, ტიპის, მოცულობისა და სამუშაო პირობების, ან ბუნებრივი რესურსების განაწილების კუთხით;გ) გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებს რომლებიც ექვემდებარება შესწავლას და სგშ-ს ანგარიშში სახვას;დ) სტრატეგიული დოკუმენტის მიმართებას სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებთან;ე) ინფორმაციას სგშ-ს პროცესში ჩასატარებელი საბაზისო კვლევების შესახებ და აღნიშნული კვლევებისათვის საჭირო მეთოდებსა და კრიტერიუმებს;ვ) ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც დაგეგმილია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შემთხვევაში შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირებისათვის;ზ) ინფორმაციას იმ პირთა წრის შესახებ, ვისზეც შესაძლებელია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებამ მოახდინოს ზემოქმედება;თ) ინფორმაციას სგშ-ს ანგარიშის სტრუქტურის, მისი შინაარსისა და მასშტაბის შესახებ;

ო) ინფორმაციას იმ უწყებების შესახებ, რომელთაც შესაძლოა კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგინონ მოსაზრებები სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებით;

5. დამგეგმავი ორგანო უფლებამოსილია სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს წარუდგინოს სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება ამ კოდექსის 26-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

6. სამინისტრო და ჯანდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს წარდგენილი განცხადებისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის განთავსებას მათ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე, განცხადების რეგისტრაციიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში და მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფენ სკოპინგის განცხადებისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის ნაბეჭდი ვერსიის გაცემას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შენიშვნა / წინადადება 13:

13.1 სკრინინგის განცხადების მსგავსად (იხ. მეორე შენიშვნა 23-ე მუხლზე), შეუძლებელია, რომ „განცხადება“ მოიცავდეს ისეთ მოცულობით ინფორმაციას, რომელიც ჩამოთვლილია მე-2 პუნქტის „ა-ე“ ქვეპუნქტებში და ასევე, მე-3 პუნქტში.

თავისი შინაარსით, „ა-ე“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი მოთხოვნები შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც სკოპინგის ანგარიშის მოკლე შინაარსი - რეზიუმე (ყურადსაღებია, რომ რატომღაც მე-4 პუნქტში ანგარიშის შინაარსისადმი მოთხოვნების ჩამოთვლისას, არ არის ყურადღება გამახვილებული მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებზე - ზეგავლენა დაცულ ტერიტორიებზე და ტრანსსასაზღვრო ზეგავლენა). ამდენად, მე-2 პუნქტში შეიძლება მარტივად აღინიშნოს, რომ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სკოპინგის ანგარიშის რეზიუმე (ან მოკლე მიმოხილვა).

გასათვალისწინებელია, რომ ასეთი ინფორმაციის მოთხოვნას (იქნება ეს „რეზიუმე“, თუ ქვეპუნქტებად ჩამოთვლილი ინფორმაცია) უნდა ჰქონდეს მიზანი - ნათელი უნდა იყოს, რისთვის მოითხოვება ის?! ეს კი, კანონპროექტში არ ჩანს.

ისევე როგორც გზშ-ს შემთხვევაში, ანგარიშის მოკლე მიმოხილვის - [არატექნიკური] რეზიუმეს მოთხოვნის ერთადერთი მიზანი, როგორც წესი, არის საზოგადოების, დაინტერესებული მხარეების უკეთ ინფორმირება დაგეგმილი საქმიანობის / სტრატეგიული დოკუმენტის და მისი პოტენციური შედეგების შესახებ და საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობა. ამდენად, ასეთი (რეზიუმირებული) ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, კანონპროექტიდან ნათელი უნდა იყოს ინფორმაციის მოთხოვნის მიზანი და ასევე, მოცემული უნდა იყოს ის პროცედურები, რომელთა მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნება ამ ინფორმაციის ეფექტურად გავრცელება.

13.2 მე-6 პუნქტში ინფორმაციის სამინისტროების ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებისთვის მოცემული 10-დღიანი ვადა კრიტიკას ვერ უძლებს! ყოვლად გაუგებარი და დაუსაბუთებელია, რატომ შეიძლება დასჭირდეს მზა, დამუშავებული ინფორმაციის ვებ-გვერდებზე ატვირთვას 10 სამუშაო დღე (2 კვირა)?! პრაქტიკაში ამ სამუშაოს შესრულებას შესაძლებელია დასჭირდეს რამოდენიმე საათიდან, მაქსიმუმ, ერთ დღემდე.

მუხლი 26. სკოპინგის ანგარიშის განხილვა და სკოპინგის ანგარიშზე გადაწყვეტილების მიღება

1. სამინისტრო ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად იხილავს დამგეგმავი ორგანოს მიერ წარდგენილ სკოპინგის განცხადებას და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას და ამტკიცებს სკოპინგის დასკვნას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

2. დამგეგმავი ორგანოს მიერ ამ კოდექსის 25-ე მუხლით დადგენილი წესით

წარდგენილი განცხადების რეგისტრაციიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში სკოპინგის ანგარიშის განხილვის მიზნით სამინისტრო ქმნის საექსპერტო კომისიას ამ კოდექსის მე-6 თავით დადგენილი წესის შესაბამისად. საექსპერტო კომისია ვალდებულია სამინისტროს წარუდგინოს საექსპერტო დასკვნა სკოპინგის დასკვნის დამტკიცებამდე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

3. დამგეგმავი ორგანომ კოდექსის 25-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად დამტკიცებულ ვადაში უზრუნველყოფს სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობას სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს მონაწილეობით.

4. სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო და დამგეგმავი ორგანო უზრუნველყოფენ სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის ჩატარების ადგილისა და დროის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას ამ კოდექსის მე-4 თავით დადგენილი წესების შესაბამისად. საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს საჯარო განხილვის ჩატარებამდე არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღისა.

5. საჯარო განილვაზე სამინისტრო და ჯანდაცვის სამინისტრო წარადგენენ შენიშვნებსა და წინადადებებს სტრატეგიული დოკუმენტსა და სკოპინგის ანგარიშზე.

6. დამგეგმავი ორგანო ვალდებულია სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შედეგების შესახებ ოქმის გაფორმება, რომელიც დეტალურად უნდა ასახავდეს სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვისას გამოთქმულ შენიშვნებსა და მოსაზრებებს. ოქმს ხელს აწერს და მის სისწორეზე პასუხისმგებელია დამგეგმავი ორგანო (ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი). დამგეგმავი ორგანო სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შედეგების შესახებ სხდომის ოქმს მისი გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში წარუდგენს სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს.

8. სკოპინგის განცხადების რეგისტრაციიდან არანაკლებ 41 (ორმოცდაერთი) და არაუმეტეს 50 (ორმოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში სამინისტრო და ჯანდაცვის სამინისტრო გასცემს სკოპინგის დასაბუთებულ დასკვნას, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს ამ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მომზადებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. სკოპინგის დასკვნა მოიცავს სამინისტროს და ჯანდაცვის სამინისტროს შეფასებას სკოპინგის ანგარიშში ასახული ინფორმაციის შესახებ და ადგენს სგმ-სთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და აღნიშნული ინფორმაციის სგმ-ს ანგარიშში ასახვის საშუალებებს. სკოპინგის დასკვნა მტკიცდება მინისტრის და ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით.

9. სამინისტრო და ჯანდაცვის სამინისტრო ამ მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად დამტკიცებულ სკოპინგის დასკვნას დამგეგმავ ორგანოს უგზავნიან მისი დამტკიცებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

10. სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო და დამგეგმავი ორგანო სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფენ აღნიშნული გადაწყვეტილების განთავსებას ოფიციალურ ვებ გვერდებზე, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფენ აღნიშნული გადაწყვეტილების ნაბეჭდი ვერსიის გაცემას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. იმ შემთხვევაში, თუ 5 (ხუთი) წლის ვადაში დამგეგმავი ორგანოს მიერ სგმ-ს ანგარიში სტრატეგიულ დოკუმენტის პროექტთან ერთად არ იქნა წარმოდგენილი სამინისტროში და ჯანდაცვის სამინისტროში, იგი ვალდებულია ხელახლა განახორციელოს სკოპინგის პროცედურები.

შენიშვნა / წინადადება 14:

14.1 მე-6 პუნქტში მოცემული 3+3, ანუ 6-დღიანი ვადა ძალზე ბევრია შეხვედრის ოქმის მომზადებისა და სამინისტროებისთვის წარდგენისთვის. იგივე შენიშვნა ვრცელდება 27-ე მუხლის მე-10 პუნქტზე, რომელიც ასევე ითვალისწინებს 6-დღიან ვადას საჯარო განხილვის ოქმის მომზადება-წარდგენისთვის.

14.2 მე-8 პუნქტში შესაბამის ადგილებზე (და სადაც საჭიროა, სხვა მუხლებშიც - მაგალითად, 27-ე მუხლში) უნდა ჩაერთოს სიტყვა „ერთობლივი“, იმის საჩვენებლად სამინისტროები გამოსცემენ ერთობლივ დოკუმენტებს (მაგ., ერთობლივ დასკვნას, ერთობლივ ბრძანებას, ერთობლივ რეკომენდაციებს).

14.3 მე-2 პუნქტში ნახსენებია, რომ საექსპერტო კომისია ამზადებს „საექსპერტო დასკვნას“, შემდგომ, მე-8 პუნქტში, იგივე დოკუმენტი მოხსენიებულია როგორც „ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა“ ექსპერტიზის დასკვნა თუ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. 27-ე მუხლში (სადაც უკვე საუბარია სგმ ანგარიშის განხილვაზე), მე-6 პუნქტში ისევ მოხსენიებულია „საექსპერტო დასკვნა“. სასურველია, რომ ნათლად ჩამოყალიბდეს, რა ჰქვია დოკუმენტებს, რომელსაც მოამზადებს კომისია სგმ-ს სხვადასხვა ეტაპზე. ასევე სასურველია, რომ ტერმინოლოგიურად ამ დოკუმენტების დასახელებები განსხვავდებოდეს გზმ-ს ეტაპებზე ექსპერტთა კომისიის მიერ მოსამზადებელი დოკუმენტების დასახელებებისგან. ეს ყველა მხარისთვის გააიოლებს გზმ-სა და სგმ-ს პროცედურების გაგებას.

14.4 ამავე თემაზე: საექსპერტო კომისიის მიერ მომზადებული დოკუმენტების სტატუსი, კანონპროექტიდან, აბსოლუტურად გაუგებარია. რისთვის, რა მიზნით მზადდება ეს დასკვნები - გაუგებარია!..

14.5 სგმ-ში, გზმ-სგან განსხვავებით, სგმ-ს ყველა ეტაპზე ჯანდაცვის საკითხების ასახვის, ასევე ჯანდაცვის სამინისტროს როლი/ფუნქციები, ჩართულობის და საბოლოო გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის ხარისხი, მნიშვნელოვანია. ამდენად, ვფიქრობთ, საექსპერტო კომისიაშიც ჯანდაცვის ექსპერტების მონაწილეობა სავალდებულო უნდა იყოს და ეს ნათლად უნდა გაიწეროს კანონპროექტში (26-ე მუხლში - სადაც სგმ-ს ნაწილში საექსპერტო კომისია პირველად ნახსენები, ან კანონპროექტის მეექვსე თავში, რომელიც უშუალოდ საექსპერტო კომისიის საკითხებს ეხება). კომისიაში ჯანდაცვის ექსპერტთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად შეიძლება შეთავაზებულ იქნეს წილობრივი გადანაწილება, ექსპერტთა სპეციალიზაციის მიხედვით, ან სხვა მექანიზმი.

მუხლი 27. სგმ-ს ანგარიში

...
9. საჯარო განხილვაზე სამინისტრო და ჯანდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს სტრატეგიული დოკუმენტსა და სგმ-ს ანგარიშზე შენიშვნებისა და წინადადებების წარდგენას.
...

შენიშვნა / წინადადება 15:

27-ე მუხლის მე-9 პუნქტში (ისევე როგორც წინა, 26-ე მუხლის მე-5 პუნქტში) გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროსთვის საჯარო განხილვაზე შენიშვნებისა და წინადადებების წარდგენის დავალდებულება, ვფიქრობთ, გადამეტებულია.

ეს ორი უწყება, კანონპროექტით, ისედაც ვალდებული არიან, მოამზადონ სკოპინგის ერთობლივი დასკვნა (სკოპინგის ეტაპზე) და ერთობლივი რეკომენდაციები (სგმ-ს ანგარიშის განხილვის ეტაპზე) და ამ დოკუმენტების მომზადებისას ისინი გაითვალისწინებენ საექსპერტო კომისიის დასკვნებს (საექსპერტო კომისიის დასკვნები ხომ იმისთვისაა, რომ თანამდებობის პირებს დაეხმარონ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში). ვფიქრობთ, საჯარო განხილვაში მონაწილეობა, შესაძლოა, სავალდებულო იყოს ამ სამინისტროებისთვის, მაგრამ შენიშვნებისა და წინადადებების წარდგენა საჯარო განხილვებზე უნდა იყოს არა ვალდებულება, არამედ უფლებამოსილება.

მუხლი 28. სტრატეგიული დოკუმენტის მიღება/დამტკიცება

...
5. სტრატეგიული დოკუმენტის მიღების/დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას თან უნდა დაერთოს შესაბამისი დასაბუთება, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
ა) ჩატარებული საჯარო განხილვისა და აღნიშნულ განხილვაზე საზოგადოების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინების შესახებ;

- ბ) სგშ-ს ანგარიშში ასახულ შედეგებს;
- გ) სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციებს;

...

შენიშვნა / წინადადება 16:

მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს, ვფიქრობთ, უნდა დაემატოს „რეკომენდაციების გათვალისწინების ან/და გაუთვალისწინებლობის შესახებ ინფორმაცია“ - ეს მნიშვნელოვანია „დასაბუთებულობის“ საჩვენებლად.

მუხლი 29. სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგების მონიტორინგი

1. დამგეგმავი ორგანო სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების დროს ატარებს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მონიტორინგს, რისთვისაც, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ადრეულ ეტაპზე გამოკვეთს გაუთვალისწინებელ უარყოფით ზემოქმედებას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე დაახორციელებს შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებს.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით, დამგეგმავი ორგანო სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პროცესში უზურუნველყოფს სგშ-ს ანგარიშში მოცემული მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელებას და აღნიშნულის შესახებ ანგარიშგების შედეგების წარდგენას სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროსა და საზოგადოებისათვის.

შენიშვნა / წინადადება 17:

17.1 პირველ პუნქტში, ერთ წინადადებაში გაერთიანებულია ორი დებულება, რომელიც სხვადასხვა ასპექტს ასახავს.

პირველი დებულება - „დამგეგმავი ორგანო სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების დროს ატარებს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მონიტორინგს“ - ზოგადი ხასიათისაა და ის შეიძლება უცვლელად დარჩეს. რაც შეეხება მეორეს - „სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ადრეულ ეტაპზე გამოკვეთს გაუთვალისწინებელ უარყოფით ზემოქმედებას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე და ახორციელებს შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებს.“ - ეს სხვა, დამოუკიდებელი დებულებაა და განსაკუთრებულ შემთხვევას ეხება; ის ეხება ისეთ გარემოებას, როდესაც სგშ-ში არ/ვერ იქნა იდენტიფიცირებული გარკვეული ზეგავლენის სახე და მხოლოდ შემდგომ, განხორციელებისას გამოვლინდა ის.

ეს დებულება კვლავ უნდა დარჩეს მუხლში, მაგრამ არა როგორც პირველი პუნქტის ნაწილი, არამედ როგორც დამოუკიდებელი დებულება (მაგალითად, შეიძლება დაემატოს მე-3 პუნქტად) შემდეგი სახით: „სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე გაუთვალისწინებელი უარყოფითი ზემოქმედების გამოკვეთის შემთხვევაში, დამგეგმავმა ორგანომ უნდა განახორციელოს შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებები“. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ასევე, რომ შემარბილებელი ღონისძიების შინაარსი და ადეკვატურობა განხილული და შეთანხმებული იყოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებთან (გარემოს დაცვის და ჯანდაცვის სამინისტროებთან).

17.2 მე-2 პუნქტი მოითხოვს უფრო მეტ დეტალიზაციას ანგარიშგების თემაზე. ნებისმიერ სტრატეგიულ დოკუმენტს აქვს (უნდა ჰქონდეს) მისი შესრულების მდგომარეობის ამსახველი ინდიკატორები და ანგარიშგების ვადები; ანალოგიურად, სგშ-ს ანგარიშით აღებული ვალდებულებების (ასევე, სამინისტროების „ერთობლივი რეკომენდაციების“) შესრულების

მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაც უნდა ხდებოდეს გარკვეული პერიოდულობით. შესრულების ანგარიშების წარდგენის პერიოდულობა, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია არაერთ ფაქტორზე, მათ შორის: თავად სტრატეგიული დოკუმენტის ხასიათზე, შინაარსზე, ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ზეგავლენის მახასიათებლებზე, დამგეგმავი და ე.წ. „ზედამხედველი“ ორგანოების ინსტიტუციურ შესაძლებლობებზე (მათ შორის, ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების ტექნიკურ და ადამიანურ შესაძლებლობებზე). ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ანგარიშგების პერიოდულობა შესაძლებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დადგინდეს, მაგრამ ვფიქრობთ, უპრიანი იქნება, თუ კანონი დაადგენს ანგარიშგების პერიოდის ზღვარს. ჩვენი აზრით, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს (ანუ ანგარიშები უნდა წარდგეს სულ მცირე 2 წელიწადში ერთხელ). იდეალური იქნებოდა 6-თვიანი ან ერთწლიანი ვადის დაწესება, თუმცა, ვფიქრობთ, უფრო რეალისტურია 1-2-წლიანი ვადა.

აქვე უნდა დაზუსტდეს რა ქმედებებს უნდა მიმართონ კომპტენტურმა ორგანოებმა ანგარიშგების მიღების შემდეგ (გარდა გამოქვეყნებისა, რა თქმა უნდა). მაგალითად, როგორ უნდა იმოქმედონ მათ, თუ დადგინდა, რომ დამგეგმავი უწყება ვერ ან არ ატარებს შემარბილებელ ღონისძიებებს, ან სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას აღმოჩნდა, რომ ესა თუ ის შემარბილებელი ღონისძიება არასათანადო ან არასაკმარისი?

17.3 ამ მუხლში ასევე უნდა მოხდეს ინფორმაციის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მოთხოვნების დეტალიზაცია (ვადების და გამოქვეყნების საშუალებების დადგენა)

თავი IV. საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

მუხლი 30. მონაწილეობის უფლება

1. საზოგადოებას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს იმ გადაწყვეტილების მიღების პროცესში რომელიც ამ კოდექსის შესაბამისად ითვალისწინებს მათი მონაწილეობის უზრუნველყოფას.
2. საზოგადოების მონაწილეობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს:
 - ა) გზშ-ს დაქვემდებარებულ საქმიანობებზე ამ კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
 - ბ) სგშ-ს დაქვემდებარებული სტრატეგიული დოკუმენტზე ამ კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
 - გ) ამ კოდექსის შესაბამისად გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების პროცედურების განხორციელების პროცესში;
 - დ) დაცული ტერიტორიების მართვასთან, ეკოლოგიურ განათლებასთან ან გარემოსთან დაკავშირებული სხვა სტრატეგიული დოკუმენტების განხილვის პროცესში, რომელიც ამ კოდექსის შესაბამისად არ ექვემდებარება სგშ-ს;
 - ე) სხვა ნებისმიერი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სადაც საზოგადოების მონაწილეობა გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შენიშვნა / წინადადება 18:

18.1 ეს მუხლი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იქნეს განხილული, ვინაიდან ის ადგენს საზოგადოების მონაწილეობის უფლების რეალიზების საზღვრებს.

პირველი პუნქტი ხისტად ადგენს საზოგადოების მონაწილეობის უფლების ფარგლებს და შემოსაზღვრავს მხოლოდ ამ კანონპროექტით („ამ კოდექსის შესაბამისად“) დადგენილ შემთხვევებს. მომდევნო პუნქტში ჩამოთვლილია, დაზუსტებულია, თუ კონკრეტულად რომელი გადაწყვეტილებების მიღებისას აქვს საზოგადოებას უფლება მიიღოს მონაწილეობა და აქ ჩამოთვლილია უშუალოდ ამ კანონპროექტით (და არამართო ამ კანონპროექტით) განსაზღვრული

შემთხვევები. ბუნებრივია ჩნდება კითხვა: თუ არსებობს ეს ჩამონათვალი, მაშინ რა საჭიროა, ზოგადი, იმპერატიული ნორმა პირველ პუნქტში? შეიძლება თუ არა ამ ნორმამ შეზღუდოს, მაგალითად, საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები ისეთ შემთხვევებში, რომელიც არ არის ამ კანონპროექტით განსაზღვრული ან/და არ არის გარემოსთან დაკავშირებული?!

18.2 „ე“ ქვეპუნქტში სიტყვა „გარემოსდაცვითი“-ს ნაცვლად უნდა იყოს სიტყვები „გარემოსთან დაკავშირებული“ („გარემოსთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილების...“).

მუხლი 32. საზოგადოების ინფორმირება

1. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს:
 - ა) სამინისტროსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ვებ გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის;
 - ბ) გაზეთში, რომელიც შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებული ტერიტორიის ფარგლებში ფართოდ არის გავრცელებული და ხელმისაწვდომია დაინტერესებული საზოგადოების უმრავლესობისათვის;
 - გ) შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე და ვებ გვერდზე, ასევე საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილას, რომელიც შესაძლოა იყოს ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, საბავშვო ბაღები, სავაჭრო ცენტრები, ფოსტის ოფისები და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები;
 - დ) გზმ-ს დაქვემდებარებული საქმიანობის ან სგმ-ს დაქვემდებარებული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების უახლოეს საჯარო ადგილას.
2. ცნობა საჯარო განხილვის შესახებ უნდა მოიცავდეს ინფორმაციას:
 - ა) იმ საკითხის შესახებ, რომელზეც ამ კოდექსის შესაბამისად მიღებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილება;
 - ბ) გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ;
 - გ) ამ კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მიღების და შესწავლის შესაძლებლობის შესახებ, ასევე იმ ადგილისა და მისამართის შესახებ სადაც შესაძლებელია აღნიშნული დოკუმენტაციის გაცნობა, კერძოდ, სამინისტროსა და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს შენობის მისამართს;
 - დ) საჯარო განხილვაზე დასწრებისა და მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობის შესახებ;
 - ე) გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის შემთხვევაში, შესაბამისი პროცედურის შესახებ;
 - ვ) ამ კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა სახის მონაცემების შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ეფექტიან მონაწილეობას. საჯარო ცნობის განთავსების დრო იმგვარად უნდა განისაზღვროს, რომ უზრუნველყოფილი იქნეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობამ თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამ კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ცნობის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა საზოგადოების მონაწილეობის მთელი პროცედურის განმავლობაში.

შენიშვნა / წინადადება 19:

19.1 მე-2 პუნქტი საჯარო განხილვის შესახებ ცნობის შინაარსის გარდა, ადგენს მოთხოვნას განსახილველი დოკუმენტაციის განთავსების ადგილის შესახებ. კერძოდ, ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამბობს, რომ განსახილველი დოკუმენტაცია უნდა განთავსდეს „სამინისტროსა და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს შენობებში“.

თავდაპირველად, უნდა აღვნიშნოთ, რომ დოკუმენტაციის განთავსების ადგილის საკითხი ამ ქვეპუნქტს უნდა „ჩამოშორდეს“ და ჩამოყალიბდეს ცალკე დებულების სახით. მაგალითად, ლოგიკური იქნება, თუ ეს დებულება დაემატება ამავე მუხლს მე-4 პუნქტად. რაც შეეხება დებულების შინაარსს,

ისიც დასახვეწია: რა თქმა უნდა, დოკუმენტაცია უნდა განთავსდეს როგორც სამინისტროს, ისე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე ადმინისტრაციული ორგანოს შენობაში; თუმცა, ამასთანავე, საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, გამოყენებული უნდა იქნეს სხვა ადგილებიც/საშუალებები. მაგალითად, დოკუმენტაციის განსათავსებლად, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სოფლის ბიბლიოთეკების შენობები და სკოლები. შეიძლება ასევე ეფექტურად იქნეს გამოყენებული საზოგადოებრივი ცენტრები, რომლებსაც ბოლო წლებში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ხსნის საქართველოს სოფლებში (ამ ცენტრებში მოქალაქეებს სთავაზობენ სახელმწიფო სერვისებს, აქვეა ბიბლიოთეკებიც. დეტალებისთვის იხ.: <http://www.centri.gov.ge/ka#home>). ამავე ადგილებში შეიძლება განთავსდეს გზმ/სგმ ანგარიშების არატექნიკური რეზიუმეების ასლები (ამ საკითხზე დამატებით იხ. ზემოთ „ზოგადი, პრინციპული ხასიათის შენიშვნები და წინადადებები“, პუნქტი 7(ბ))

19.2 მე-3 პუნქტში სიტყვა „დრო“-ს ნაცვლად, სავარაუდოდ უნდა ყოფილიყო სიტყვა „ადგილი“, ვინაიდან საჯარო განხილვის შესახებ ცნობის (და არა „საჯარო ცნობის“ - როგორც ეს ხანდახან გვხვდება ამ მუხლში) გამოქვეყნების ვადები ზუსტად დადგენილია კანონპროექტის წინა მუხლებში. ამდენად, ეს ზოგადი დებულება ვადასთან კავშირში არაფრის მომცემია; ადგილთან კავშირში კი რელევანტური იქნებოდა, ვინაიდან ის ჩამოაყალიბებდა ზოგად ნორმას - ე.წ. 'სავალდებულო' ადგილებთან ერთად ის დააწესებდა დოკუმენტაციის სხვა ისეთ ადგილებში განთავსების შესაძლებლობას, რომელიც უზრუნველყოფდა „გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ეფექტიან მონაწილეობას“.

19.3 ამგვარად, ამ მუხლში მე-3 და მე-4 პუნქტები შეიძლება დაეთმოს დოკუმენტაციის განთავსების ადგილის საკითხს და ასევე აქვე შეიძლება დაემატოს პუნქტები არატექნიკური რეზიუმეს გავრცელების ვალდებულებებზე (იხ. ზემოთ „ზოგადი, პრინციპული ხასიათის შენიშვნები და წინადადებები“, პუნქტი 7(ბ)).

თავი VIII. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 46. კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიებები

1. ამ კოდექსის ამოქმედებისთანავე სამინისტრომ უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების დამტკიცება:

ა) „ნებართვის მაძიებლის მიერ წარსადგენი ინფორმაციის შინაარსის და ფორმის, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესისა და პროცედურების“ დამტკიცების შესახებ;

ბ) „საექსპერტო კომისიის წევრების შერჩევის, დამოუკიდებელ ექსპერტთა რეესტრის წარმოების და ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ;

2. სამინისტრომ და ჯანდაცვის სამინისტრომ -----მდე უზრუნველყოს „დამგეგმავი ორგანოს მიერ სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროში წარსადგენი ინფორმაციის შინაარსის, ფორმის, გზმ-ს განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ ერთობლივი ბრძანების დამტკიცება.

3. ამ კოდექსის ამოქმედების შემდგომ ძალაში რჩება „ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის მომზადებისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 11 ივნისის N201 ბრძანება.

შენიშვნა / წინადადება 20:

20.1 კოდექსის სრულფასოვნად ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები იქნება ათეულობით კანონქვემდებარე აქტი, აქ კი წარმოდგენილია მხოლოდ და მხოლოდ სამი აქტი.

20.2 მე-3 პუნქტი ამოღებულ უნდა იქნეს, ვინაიდან ის უკავშირდება 47-ე მუხლს და ამ მუხლით განსაზღვრულ უკანონო საქმიანობის ლეგალიზებასთან დაკავშირებულ დებულებებს.